645
1 976
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რ. ჩანდრა
„მშვიდობის ოქროს მედალს" გადასცემს ამხანაგ ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ს.

ფოტო ს. სმირნოვისა.

მოსკოვი
კრემლი

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

ჟურნალ „საქართველოს ქალის" სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი საქართველოს ქალთა სახელით გულმხურვალედ მოგესალმებათ და მოგილოცავთ მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის უმაღლეს ჯილდოს, ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედალს" ეს დიდებული ჯილდო ღირსეული შეფასებაა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის სამშვიდობო პოლიტიკისა და პირადად თქვენი უდიდესი წვლილის XXIV პარტყრილობის მიერ დასახულ სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში

მოდის ახალი, 1976 წელი გისურვებთ თქვენ, კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუღალავ მებრძოლს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" სარედაქციო
კოლეგია და რედაქციის კოლექტივი

19 XII-1975 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალ ახალ წელს!

ნაზი კილასონია

ვინ გაუბედავს უთხრას იანვარს —
რომ წლები ჩვენი მიაქვს ნიავად.
რომ წლები ჩვენი, რომ წლები ჩვენი,
რომ წლები ჩვენი მიაქვს ნიავად?
რომ თმები მისი, თოვლით ნაფერი,
სიბერეა და სხვა არაფერი?
სხვა არაფერი, სხვა არაფერი,
სიბერეა და სხვა არაფერი?
აბა, მიუპყარ სმენა იანვარს
თეთრი მანდილით ფიფქში მიმავალს, —
ის მღერის, მღერის თოვლის საფარში:
— მე ძალას ვიკრებ ზამთრის ზღაპარში.
მე ვარ საწყისი მზიან ტაროსის,
ჩემში საწმისობს მწვანე სამოსი.
და ძინავთ ჩემში ცისფერ ფიორებს,
თებერვლის ლექსებს, ფრთოსან ჩიორებს.
და ცივათ ჩემში მხოლოდ უგნურებს,
როს მძლავრი ეშხით დავალ, ვგუგუნებ.
მიუგდეთ ყური ნამქრებს, ქარიშხლებს,
ამით უმდიდრეს წელს მიგანიშნებთ.
განიშნებთ ხნულებს—მიწის ჭრილობებს.
ზე ამოტყორცნილ რილო-ჭრილოებს.
განიშნებთ ყანებს, ჩემში გაზრდილებს,
თავთუხებს, მზიანს — არა ლანძილებს.
განიშნებთ ვაზებს — ზურმუხტკვირტება
ჩემს თეთრ კალთაში წევს და ნივთდება.
დრო მოვა, მოვა, მზე ამაღლდება,
დღე განახლდება, ცა გალაღდება,
და გარდუვალი განკარგულებით
გულში ჩამივლის ნაკადულები.
გარდავიქმნები წყაროდ, წვიმებად,
მამულის ხვავად, ალორძინებად!
მაშ, ვწევ ფიალას, სავსეს ნექტარით,
ქვეყნის ტრფიალით და სინეტარით.
აბა! სიმღერა: იმერ-ამიერს
მრავალჟამიერ!
მრავალჟამიერ!
ხელით, კეთილით, საათს გადავწევ:
მრავალ ახალწელს!
მრავალ ახალწელს!

13057

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

...მარქსის სახ. საქ. სსრ ...ნ. სპობრო...



(ქსდფ კონგრესის მონაწილის შთაბეჭდილებანი)

# მსოფლიოს ქალთა

ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესისათვის სამზადისი ადრევე დაიწყო — 1973 წელს. მშვიდობის მოყვარეთა ძალების მსოფლიო კონგრესზე, ქ. მოსკოვში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც აირჩია თავისი აღმასრულებელი კომიტეტი და მისი თავმჯდომარე, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქალი, ავსტრალიელი ფრიდა ბრაუნი.

აღმასკომმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია არა მარტო კონგრესის ჩასატარებლად, არამედ ქალის საერთაშორისო წლის პოპულარიზაციის მიზნით. გარდა ცალკეული პირებისა, კონგრესის მომზადებაში 80 საერთაშორისო ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას.

კონგრესი 20-24 ოქტომბერს მიმდინარეობდა ქ. ბერლინში, სპეციალურად მოწყობილ ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში. დარბაზის კედლებს ამშვენებდა კონგრესის ემბლემა — ქალის სახე, რომლის ერთი კულული მშვიდობის მტრედია, და ექვსენოვანი წარწერა „ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესი".

კონგრესი გახსნა ფრიდა ბრაუნმა. მან ილაპარაკა იმ გადაუდებელ ამოცანებზე, რომელიც სადღეისოდ დგას კაცობრიობის წინაშე, ხაზი გაუსვა მატერიალური დოვლათის განაწილების უთანასწორობას, რის შედეგადაც დედამიწის ზურგზე 100 მილიონი ადამიანი შიმშილობს, 800 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია (ცხადია, უმეტესობას მათ შორის ქალები შეადგენენ). ფრიდა ბრაუნმა აღნიშნა, რომ აფრიკელი ქალების 80 პროცენტი, აზიის ქვეყნების ქალების 50 პროცენტი, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალების 27 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, და თუ ჩვენ გვინდა ქალმა დაიკავოს მისთვის შესაფერისი ადგილი საზოგადოებაში, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა და განათლება. მან აღნიშნა, რომ მშვიდობა ჯერ არ არის სტაბილური და ომის საშიშროება ჯერ არ არის ლიკვიდირებული. ცალკეულმა ადამიანებმა შეიძლება ვერაფერს მიაღწიონ, მაგრამ 2.000 ადამიანი დედამიწის 140 ქვეყნიდან ჩამოსული დიდი ძალაა.

პირველი სიტყვა ფ. ბრაუნმა მისცა ერიკ ჰონეკერს. გდრ-ს ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა — მეოცე საუკუნის ომებში დაიღუპა 75 მილიონი ადამიანი. ამჟამად ყველას ესმის, რომ ქალების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მსოფლიოში მშვიდობის მიღწევა, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა. გდრ-ში რეალიზებულია გოეთეს სიტყვები ქალის მისამართით ნათქვამი: „მე ისევე თავისუფალი დავიბადე, როგორც მამაკაცი" — გერმანელი ქალი ყველა სფეროში მუშაობს და ყველა სპეციალობას ეუფლება. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საბავშვო ბაგებითა და ბაღებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გდრ-ს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

შემდეგ კონგრესს მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის, კურტ ვალდჰაიმის მოადგილე ჰილვი სიპელა. მან აღნიშნა, რომ ქალის საერთაშორისო წელი არ შეიძლება განვიხილოთ და შევაფასოთ იმ მნიშვნელოვანი საკითხებისაგან მოწყვეტით, რომლებიც სადღეისოდ დგას ხალხების წინაშე. ამ წელთან დაკავშირებით ჩატარებულმა მუშაობამ ჩვენ გაგვაერთიანა არა მამაკაცების წინააღმდეგ, არამედ მათთან ერთად საბრძოლველად მრავალი უსამართლობის წინააღმდეგ და მრავალი მაღალი იდეალის მისაღწევად.

კონგრესის მისამართით 900 მისალმება მოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციისაგან, მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწისაგან. პირველი სიტყვა მისცეს ჯერჯერობით ერთადერთ კოსმონავტ ქალს — ვალენტინა ტერეშკოვას, სკკპ გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმების წასაკითხად. შემდეგ წაკითხული იქნა მისალმებები ინდირა განდის, ფიდელ კასტროს, არქიეპისკოპოს მაკარიუსის, ედვარდ გერეკის, ბანდარანაიკესი — პირველი ქალისა, რომელიც მთავრობის ხელმძღვანელად აირჩიეს, და მრავალი ქვეყნის მთავრობისაგან. პალესტინელი ქალების, ხალხისა და რევოლუციონერების მისალმებას დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა.

მეორე და მესამე დღე დაეთმო კომისიების მუშაობას. კომისიების მუშაობაში თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. საკითხები, რომლებიც ამ კომისიებზე იხილებოდა, შეეხებოდა ქალის უფლებრივ მდგომარეობას, მის ადგილს და როლს საზოგადოებაში, ოჯახში, მის შესაძლებელ მონაწილეობას შრომით საქმიანობაში, განათლების მიღების შესაძლებლობას, ინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებს, განვითარებად ქვეყნებში ქალის მდგომარეობას და სხვა.



# სადღეისო ამოცანები

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მოიხსნეს კოლონიალიზმის უღელი, აღიარებულია ქალის თანასწორუფლებიანობა, მაგრამ, ცხადია, ამ კანონით აღიარებული დებულების ცხოვრებაში გატარებას ჯერ კიდევ წინ ეღობება ძველი ადათ-წესები, ჩვეულებები, სარწმუნოება, ქალის განათლების დაბალი დონე, სპეციალობის უქონლობა. სწორედ ამის ლიკვიდაციისკენაა მიმართული ქალთა ორგანიზაციების მთელი ძალები და სახელმწიფოს ზრუნვაც. იორდანელმა ადვოკატმა ქალმა, ამ ქვეყნის ქალთა კავშირის თავმჯდომარემ, ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კომისიის წევრმა, აღნიშნა, რომ იორდანიის კონსტიტუციით ქალს აქვს სრული თანასწორი უფლებები, მაგრამ მათ ცხოვრებაში გატარებას წინ ეღობება მუსულმანური სარწმუნოების დოგმები. ქალს შეზღუდული აქვს სწავლა-განათლება, არა აქვს გაყრის უფლება. ქალის შრომა იორდანიის სახალხო მეურნეობაში მხოლოდ 3,5 პროცენტს შეადგენს. ოკუპირებულ პალესტინაში კი ქალები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

სომალიელმა დელეგატმა, რომელიც აფრიკის ქვეყნების ქალების მდგომარეობის შემსწავლელი საზოგადოების სახელით გამოდიოდა, აღნიშნა: „ქალებმა არ იციან თავიანთი უფლებები, ეს მათი გაუნათლებლობის შედეგია. აფრიკელი ქალების უმეტესობა სოფლებში ცხოვრობს, ამიტომ არც ისე ადვილია პოლიგამიის აღმოფხვრა. აფრიკელ ქალს ბევრი რამ სხვაც სჭირდება, გარდა თანასწორუფლებიანობისა — ჯანდაცვა, საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება, განათლება და პროფესიის დაუფლება“.

სოციალისტური დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლები ნათელყოფდა იმ დიდ მიღწევებს, რომელიც მოპოვებულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქალთა საკითხის გადაჭრასა და მთლიანად მშრომელთა უფლებრივი თუ ეკონომიური მდგომარეობის ამაღლების საქმეში.

საინტერესო იყო ჩილელი ქალის — კეროლას გამოსვლა. ალიენდეს მთავრობაში იგი თანამდებობის პირი იყო. „ამჟამად, — თქვა მან — მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც ქალს არავითარი უფლებები არა აქვს. ჩვენს ქვეყანაში ფაშისტური ტერორი მძვინვარებს, ჩვენ დავკარგეთ უფლება სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე, არსებობის საშუალებაზე. დათრგუნვილია ყველა ადამიანური უფლებები. ჩილეში უკუნეთი ღამეა. ქალთა საერთაშორისო სოლიდარობა ჩვენთვის ძალიან დიდი მორალური დახმარებაა და მე ვთხოვ კონგრესს, დაგვეხმაროს ჩვენი უფლებების მოპოვებაში“.

ინგლისის წარმომადგენელმა დაჰგმო ინგლისის აგრესია ირლანდიაში და მოითხოვა, ირლანდიელ ქალებს მიეცეთ თანასწორი უფლებები: „ჩრდილო ირლანდიის ქალები იბრძვიან არა მარტო თანასწორუფლებიანობისათვის, არამედ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის“.

ფრანგმა იურისტმა ქალმა, პირველი კომისიის თავმჯდომარემ ივონ ტოლმანმა აღნიშნა, რომ არც ევროპის ყველა ქვეყანაშია ქალი თანასწორუფლებიანი; ზოგიერთ ევროპელ ქალს არა აქვს უფლება მიიღოს უცხოეთში წასასვლელი პასპორტი ქმრის თანხმობის გარეშე. საფრანგეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც კონსტიტუციაში ჩაწერილი უფლებები და სინამდვილე ერთმანეთს არ ემთხვევა.

შვედმა ქალმა თქვა: შვედეთის კანონი არ განასხვავებს ქალს მამაკაცისაგან, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ისეთი . კანონი, რომელიც დაიცავს ქალს და არ გადააქცევს მას მამაკაცად.

სამხრეთ კორეელმა ქალმა აღნიშნა, რომ ფეოდალურ-კოლონიურ ქვეყანაში, როგორიცაა სამხრეთ კორეა, ქალი ვერც იოცნებებს თანასწორუფლებიანობაზე, ჩრდილოეთ კორეაში კი ქალი თანასწორუფლებიანი და თავისუფალია. სამხრეთ ვიეტნამელმა ადვოკატმა ქალმა — მობატონმა, კონგრესის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ დევნიან მას ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის გამო.

იაპონელმა იურისტმა ქალმა აღნიშნა, რომ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო აღიარებული იაპონიის კონსტიტუციით ქალის უფლებები, მაგრამ საუკუნოვანი ტრადიციები ზღუდავენ მას. ქალი ძირითადად არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს და ეს არის მისი დისკრიმინაციის სათავე. იაპონიის პარლამენტის 743 წევრიდან მხოლოდ ოცდაშვიდია ქალი.

ასევე არ არის პირობები მექსიკაში კონსტიტუციით აღიარებული ქალის უფლებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. მექსიკელ ქალს ყველაზე უფრო სჭირდება სწავლა-განათლება, ქალების 40 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. მომუშავე ქალების მხოლოდ 19 პროცენტს აქვს საშუა-

ლება მოაწყოს ბავშვები საბავშვო დაწესებულებებში. მექსიკელი ქალი აქტიურად უნდა ჩაებას სახალხო მეურნეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ქვეყანა განთავისუფლდეს აშშ კაპიტალის ბატონობისაგან.

შაილა კარდერმა, ზანგმა ქალმა აშშ-დან, ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც ტარდება ფილადელფიაში ქალთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად და, კერძოდ, ზანგი ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ისრაელის წარმომადგენელმა — სმიდელბერგმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში არის კანონები, რომლებიც ქალის დისკრიმინაციისაკენ არის მიმართული. მითუმეტეს მძიმეა არაბი ქალების მდგომარეობა. პარლამენტმა მიიღო კანონი ქალის თანასწორუფლებიანობის შესახებ, მაგრამ კანონი ქორწინების შესახებ საეკლესიო დებულებებს ემყარება და 2 000 წლისაა. ქვრივი ქალი ვერ გათხოვდება ხელმეორედ მაზლის ნებართვის გარეშე, ხოლო თუ მაზლი არასრულწლოვანია, ქვრივმა ქალმა უნდა უცადოს მის გაზრდას. ისრაელში მშრომელთა $1/3$ ქალებია, პარლამენტის 120 წევრიდან კი მხოლოდ 9 ქალია.

ირანელ ქალს არა აქვს უფლება თავის შვილებზე, ბავშვი მამას ეკუთვნის და ირანელი ქალი უფლებრივად და ქონებრივად აბსოლუტურად ქმარზეა დამოკიდებული.

ბერძენმა ქალმა აღნიშნა, რომ დიქტატურის დამხობის შემდეგ ქალს მიენიჭა გარკვეული უფლებები, მაგრამ არა ყველა უფლება. პარლამენტის 300 დეპუტატიდან მხოლოდ შვიდია ქალი. არ არის გათანაბრებული ხელფასი, მშრომელი დედა არ არის უზრუნველყოფილი.

ნეპალში ქალს 1963 წლამდე არავითარი უფლებები არ ჰქონდა. ახლა ქალს აქვს უფლება მშობლების ქონების მემკვიდრეობაზე, მას ეკითხებიან თანხმობას ქორწინებაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული დედის უფლება შვილებზე, მას არ შეუძლია მთელი რიგი აქტების განხორციელება ქმრის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება იყოს არჩეული მმართველ ორგანოებში.

კოლუმბიაში 1975 წლის დეკრეტით აღიარებული იყო ქალის თანასწორუფლებიანობა, მაგრამ, კოლუმბიელი დელეგატის თქმით, კაპიტალისტური წყობის დროს არასოდეს არ შეიძლება იყოს მიღწეული ქალის თანასწორუფლებიანობა. არის მრავალი ადათი, რომელიც უუფლებოს ხდის ქალს ოჯახში. კოლუმბიელმა ქალმა მოითხოვა სპეციალური ორგანიზაციის შექმნა პოლიტიკური პატიმარი ქალების დასაცავად.

მალაზიელმა ქალებმა დიდი ბრძოლის შედეგად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამჟამად პარლამენტი ამზადებს კანონს პოლიგამიის შესაზღუდად. პოლიგამია აფრიკის მრავალი ქვეყნის მძიმე ტვირთია. მაგალითად, კენიაში ერთ მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს 20-30 ცოლი. მაგრამ მარტო ეს კი არ არის პრობლემა, საქმე იმაშია, რომ ამ ოჯახს მინიმუმ 20-30 ბავშვი ჰყავს და მათი გამოკვება დღევანდელი ინფლაციის პირობებში გაღატაკებას იწვევს.

პალესტინელმა დელეგატმა განაცხადა, რომ ქალის უუფლებობა საზოგადოების განვითარების მუხრუჭია. პალესტინელი ქალები რევოლუციური მოძრაობის ყველა სფეროში მონაწილეობენ, მან თხოვნით მიმართა ყველა ქვეყნის ქალებს — გამოუცხადონ მათ ბრძოლას სოლიდარობა.

სამხრეთ აფრიკა განსაკუთრებული სახის კოლონიაა, რომელიც ცალკეულ რეგიონებად არის დაყოფილი მოსახლეობის კანის ფერის მიხედვით. აქ ქალი განსაკუთრებით დაჩაგრულია. დღესაც კი, როდესაც თითქმის ყველა ქვეყანამ სცნო ქალის ადამიანური უფლებები, სამხრეთი აფრიკა მათ არ აღიარებს.

მადაგასკარელმა ინჟინერმა ქალმა განაცხადა, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი და სოციალისტური ქვეყნების მიღწევები მათთვის დიდი სტიმულია. მადაგასკარელი ქალებისათვის ბრძოლა თანასწორუფლებიანობისათვის ნიშნავს ბრძოლას მათი ქვეყნის განვითარებისათვის სოციალისტურ პრინციპებზე.

სომალში რევოლუციამ მიანიჭა ქალს უფლებები და ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ალჟირში ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლაში და რევოლუციამ მათ მიანიჭა თანასწორი უფლებები. თანასწორუფლებიანია კანონით ქალი არგენტინაშიც, მაგრამ ყველა ქალმა ჯერ კიდევ არ იცის თავისი უფლებები. სოციალურმა რევოლუციამ პერუში კონსტიტუციით ქალს მიანიჭა თანასწორი უფლებები, მაგრამ ქალებს სჭირდებათ დახმარება, რათა ეს უფლებები გამოიყენონ.

გვინეელი დელეგატის თქმით, ქალი მონის მონა იყო. ამჟამად იგი თანასწორუფლებიანია. გვინეის დემოკრატიულმა პარტიამ ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ქალი მონაწილეობდეს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.

ეკვადორში 1972 წლის შემდეგ გაუთხოვარ ქალს მიენიჭა თანასწორი უფლებები, გათხოვილი ქალი კი უუფლებოა, მასზე ვრცელდება ნაპოლეონის დროინდელი კანონმდებლობა და იგი ქმარს ემორჩილება. მამაკაცს აქვს უფლება ჰყავდეს ორი ოჯახი.

უუფლებო იყო ქალი პორტუგალიაშიც ფაშისტური რეჟიმის დროს, ახლა იგი თანასწორუფლებიანია.

ერაყის დელეგაციის სახელით გამოვიდა იუსტიციის მინისტრი მამაკაცი, რომელმაც განაცხადა ერაყის მთავრობის სახელით, რომ მთლიანად იზიარებს ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

სალვადორელი დელეგატის თქმით, მისი ქვეყანა ხალხების საპყრობილეა, ეს კარგად იციან ლათინური ამერიკის ქვეყნის ხალხებმა. ჩვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — სხვადასხვა რასის ხალხი ცხოვრობს და ძალიან მძიმე რასისტული დისკრიმინაციაა, ქალი კი ორმაგად იჩაგრება, მას ხშირად ცვლიან საქონელში, სპირტიან სასმელებში, განსაკუთრებით სოფლად. სოფლელებმა არაფერი იციან ქალის უფლებების შესახებ. ქალებს, რომლებიც იბრძვიან უფლებებისათვის, აპატიმრებენ, ჰკლავენ, აუპატიურებენ. სალვადორელი დელეგატი პარლამენტის დელეგატია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე მასაც დევნას დაუწყებენ.

ბანგლადეშელმა დელეგატმა განაცხადა, რომ მათმა ქვეყანამ შეიგნო ქალის მონაწილეობის საჭიროება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

შვეიცარიელმა ქალმა აღნიშნა: „არ არის დემოკრატია იქ, სადაც მოსახლეობის ნახევარი დისკრიმინირებულია. ქალებს მარტო უფლებები კი არ უნდა მიეცეს, არამედ საშუალება — დაიკავონ მაღალი პოსტები და მიიღონ მაღალი კვალიფიკაცია".

ძნელია ერთ წერტილში მოთავსდეს ყველა ის მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი, რომელიც წარმოდგენილი იყო კონგრესის ცხრა კომისიაში 734 მოკამათის მიერ. ფაქტი ერთია, კონგრესმა გამოავლინა ქალის მდგომარეობის სამი კატეგორია: ქვეყნები, სადაც ქალი მოკლებულია უფლებას, ქვეყნები, სადაც კანონით აღიარებულია ქალის თანასწორუფლებიანობა, მაგრამ ცხოვრებაში მის განხორციელებას ჯერ კიდევ ბევრი რამ ეღობება წინ, და ქვეყნები, სადაც ქალები კანონით და ფაქტობრივად თანასწორუფლებიანნი არიან.

კონგრესის უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე ცხრავე კომისიამ წარმოადგინა თავისი დასკვნითი მოხსენებები, რომლებიც მიუხედავად დელეგატების ცხოვრების პირობების და მდგომარეობის უთანასწორობისა, ერთსულოვნად იყო მიღებული.

კონგრესის მასშტაბების დასახასიათებლად უნდა ითქვას, რომ ყველა სხდომებზე რვაენოვანი სინქრონული თარგმანი იყო. 2.000 დელეგატი წარმოადგენდა 140 ქვეყანას, მათ შორის 29 ევროპის, 33 აზიის, 43 აფრიკის, 30 ამერიკის, ავსტრალიის კონტინენტიდან და ოკეანიიდან. 230 დელეგატი, 12 ზედამხედველი და 7 სტუმარი მოვლინებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან. კონგრესზე წარმოდგენილი იყო 29 გაზეთი, 12 საერთაშორისო სააგენტო, 700 კორესპონდენტი.

კონგრესის უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით გამოვიდა მისი თავმჯდომარე რომეშ ჩანდრა. კონგრესმა მიიღო მიმართვა, რომლის ტექსტი წაიკითხა ინდოეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ინდოეთის პარლამენტის წევრმა მიუვერჯიმ, მოწოდების ტექსტი კი — გვინეის და მწვანე კონცხის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჟან მარტინ სისემ. კონგრესის მოწოდებები გადაცემული იყო ტელევიზიით მთელს ევროპაში.

კონგრესი დაიხურა გდრ-ს 2.200 პიონერის მისალმებით.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარდა გდრ-ში კონგრესის მოსამზადებლად. ბერლინის ყველა ქუჩა მორთული იყო პლაკატებით, ტრანსპარანტებით, მისალმებებით. და განა მარტო ბერლინში, ყველგან, სადაც კი დელეგატებს მოუხდათ ყოფნა — დრეზდენში, პოტსდამში, ოდერის ფრანკფურტში, როსტოკში, ყველგან ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის ემბლემები და მისალმებები გვხვდებოდა. და მართლაც, გდრ-ის ხალხის, მთავრობის, ერთიანი სოციალისტური პარტიის მზრუნველობა ყველა დელეგატმა იგრძნო და ყველამ მადლობა გადაუხადა სიტყვაში გამოსვლის დროს.

ჯერ კიდევ ბერლინში ჩასვლამდე საბჭოთა დელეგაციას ოდერის ფრანკფურტის სადგურში სახელდახელო მიტინგი გაგვიმართეს. უამრავი ხალხი დაგვხვდა ყვავილებით, დროშებით, ორკესტრით. 10 წუთის განმავლობაში, სანამ მატარებელი დაიძვრებოდა, ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა საბჭოთა ქვეყნის მისამართით. დრეზდენში, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა შორის, გვიჩვენეს ყოფილი საპყრობილე, რომელშიც ანტიფაშისტებს აწამებდნენ და თავს კვეთდნენ. ამჟამად შენობაში პოლიტექნიკური უნივერსიტეტია, მაგრამ იმ ადგილას, სადაც გილიოტინა იდგა, ძეგლი დგას და ჩაუქრობელი ჩირაღდანი ანთია. ახალბედა სტუდენტებს აქ აძლევენ მატრიკულს საზეიმო ვითარებაში. პოტსდამის სასახლე ცეცილიენჰოფი მუზეუმად არის ქცეული და ნათლად წარმოსახავს პოტსდამის ხელშეკრულების დადების ვითარებას. საბჭოთა დელეგაციას საშუალება ჰქონდა ენახა ზეილოვის სიმაღლეები. ეს უკანასკნელი პლაცდარმი იყო ბერლინის აღების წინ. აქ 1945 წლის აპრილში ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობის შტაბი იყო. გ. ჟუკოვის შტაბის მიწურში ამჟამად მუზეუმია. აქვე 30.000 საბჭოთა მეომრის საძმო საფლავია, რომელსაც მემორიალი ამშვენებს. ამ რაიონის ქალთა ორგანიზაციამ 17.000 მარკა შეაგროვა, რომ კონგრესის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ქალებისათვის ბერლინში ჩამოსასვლელი ბილეთი ეყიდათ.

ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესი თანხვდა მეორე საიუბილეო თარიღს — ქალის საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დაარსების 30 წლისთავს. 25 ოქტომბერს გაიმართა ფედერაციის მეშვიდე საიუბილეო კონგრესი. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის მდივანი ფანი ედელმანი, კონგრესს მიესალმნენ რომეშ ჩანდრა და ვალენტინა ტერეშკოვა. კონგრესზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფრიდა ბრაუნი.

მსოფლიო კონგრესის დელეგატები დაიშალნენ დიდი რწმენით, რომ დადგა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ქალის გაღვიძების ერა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის ერა, და ყველა კეთილი ნების ადამიანი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ახალი, პროგრესული საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

დადგა ახალი, 1976 წელი.

საქართველოს ქალთა სახელით ვულოცავ ამ ახალ წელს კონგრესის ყველა მონაწილეს, მსოფლიოს ყოველ ქალს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას.

**ნინო ჯავახიშვილი,**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთა ყრილობისწინა დღეებში

## რაიონის მშრომელთა განწყობილება

ჩამოთოვა. კვლავაც თოვს და თოვს. გარინდებული ბუნება, ისვენებს. ბუნების ამ მდუმარებაში აურზაური და ხმაური შეაქვთ ადამიანებს: მთიელებს, ფშავებს, ხევსურებს, რომლებიც თიანეთის ულამაზეს მთებში სახლობენ.

წინასაყრილობო დღეებია რაიონში. მთიელი, ფშავი თუ ხევსური დიდ ვალდებულებებს შეჭიდებიან და ამ ვალდებულებათა პირნათლად გამართლებისათვის იღწვიან. დიდი ყრილობა, ჩვენი ქვეყნის მიზნების და ამოცანების განმსაზღვრელი დიდი ფორუმი კარსაა მომდგარი.

თიანეთში ძალუმად იგრძნობა წინასაყრილობო სამზადისი. ეს ის თიანეთია, სადაც დიდხანს ებრძოდნენ დრომოჭმულ ადათ-წესებს. ეს ის მხარეა, სადაც 1940 წლამდე არ ჰყავდათ უმაღლესი განათლებით ადგილობრივი მკვიდრი. ეს ის მთაა, სადაც ერთბაშად მოგვევლინა საქვეყნო საქმის შემოქმედად ქალი — მასწავლებელი, ქალი — ექიმი, ქალი — ზოოტექნიკოსი, ქალი — ეკონომისტი, ეს ის მთაა, სადაც ვაჟკაცურად სიტყვის თქმაც იციან და ამ სიტყვის შესრულებაც.

აი, რა გვითხრა ყრილობის წინ საუბარში თიანეთის კპ რაიკომის მეორე მდივანმა ინგელა ჯამაგიძემ:

— ჩვენი სადღეისო ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ იმ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში, რაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმმა დაგვისახა: გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად.

საქმე მტკიცე საკვები ბაზის შექმნით გვინდა დავიწყოთ, რაც მეცხოველეობის პროდუქციის გადიდების საფუძველია.

საკვები ბაზის განმტკიცებისათვის რაიონმა გამონახა შემდეგი საშუალებანი: ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე აითვისა 500 ჰექტარი სახნავი ფართობი, სადაც დაითესება ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, სასილოსე სიმინდი. 100 ჰექტარზე უკვე დათესილი გვაქვს საშემოდგომო ქერი, დანარჩენ 400 ჰექტარზე ბალახების თესვა გაზაფხულზე დაიწყება. გარდა ამისა, შირაქის ზამთრის საძოვრებზე ავითვისეთ 200 ჰექტარი ფართობი და დავთესეთ საშემოდგომო ქერი და ხორბალი.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში გადამწყვეტია საკვები კულტურების მოსავლიანობის ზრდა. ამისათვის ვეძებთ გზებს გავასარწყავოთ ნაკვეთები, რაც საშუალებას მოგვცემს წელიწადში ორჯერ მივიღოთ მეცხოველეობის საკვები პროდუქტები. 1.100 ჰექტარზე სასილოსე სიმინდი დაითესება, მრავალწლოვანი ბალახებისთვის გამოყოფილია 1.000 ჰექტარი. ეს ფართობი 1976 წელს 1.500 ჰექტარამდე გაიზრდება. აქედან 400 ჰექტარი დაწვიმებით მოირწყვება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმზე იქნა აღნიშნული, თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ საშუალოდ 300-350 ცენტნერი სიმინდის სასილოსე მასა, 45-50 ცენტნერი მრავალწლოვანი და 35-40 ცენტნერი ერთწლოვანი ბალახების თივა, 400-500 ცენტნერი საკვები ძირხვენები.

ახალი წლიდან ჩატარდება სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება 500 ჰექტარზე, გათვალისწინებული გვაქვს ნათესი და ბუნებრივი უხეში საკვების 70 პროცენტი გადავიყვანოთ სენაჟის წარმოებაზე, ე. ი. თივა-ბალახეულისაგან მივიღოთ სენაჟი.

დავგეგმეთ სამი საკვების შესამზადებელი საამქროს მშენებლობა. (თითოეული საამქრო ჯდება 75 ათასი მანეთი). ერთი საამქრო მზად არის. დანარჩენების მშენებლობა წელს დამთავრდება.

მეორე პრობლემა, რაც მთელი სისავსით დგას ჩვენს წინაშე, პირუტყვის სულადობის ზრდაა. იგი საკვები ბაზის განმტკიცების პარალელურად მოხდება. გასულ წელს 300 სულით გავზარდეთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ცხვარი კი 31.500 სულის ნაცვლად 35.000 სული გვყავს. პირუტყვის სულადობის ზრდა გრძელდება.

არანაკლებად ვზრუნავთ ჯიშთა გაუმჯობესებისათვის. ჩვენი ადგილობრივი ჯიში, რომელიც შეჯვარებულია შვეცის ჯიშთან, წელიწადში საშუალოდ 982 კილოგრამ რძეს გვაძლევს, რაც ძალზე ცოტაა. ჯიშობრივი გაუმჯობესება ხელოვნური დათესლვის გზით მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის საშუალებას მოგვცემს წველადობა წელიწადში საშუალოდ 1.500 ლიტრამდე გავზარდოთ.

დროა საფერმო საქმე დავუახლოვოთ ინდუსტრიულ წარმოებას. ამისათვის კი კომპლექსური მექანიზაცია გვჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლის ყველა პროცესი — საკვების მომზადება-დარიგება, სადგომების გაწმენდა, ძროხების დარწყულება და წველა მანქანების გამოყენებით ხდებოდეს. ამგვარი მექანიზაცია მკვეთრად გაზრდის ფერმის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას, შეცვლის მათი შრომის ხასიათს. ახლა უკვე დაგვჭირდება მექანიზებული ფერმებისა და კომპლექსებისათვის სათანადო კადრების მომზადება, მათი პროფესიული დონის ამაღლება.

მექანიზაციას მივესალმებით, მაგრამ 1976 წელს მხოლოდ 5 ფერმაში გვექნება კომპლექსური მექანიზაცია. რაიონის ფერმების 92 პროცენტი ჯერჯერობით ნახევრადმექანიზებული იქნება.

მეცხოველეობაში ამ დიდი სამუშაოების განხორციელებას ხელს შეუწყობს, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობების ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების შექმნა.

თიანეთის რაიონში დიდი მომავალი აქვს მეფრინველეობას. სულ მალე მწყობრში ჩადგება საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა. 1976 წელს ფაბრიკას 25 ათასი ფრთა კვერცხმდებელი ეყოლება. წელს ჩვენს რაიონს შეემატება მეინდაურეობის ფაბრიკა 1000 ფრთა კვერცხმდებლით.

მეღორეობის განვითარებისათვის შექმნილია საკოლმეურნეობათაშორისო სასუქებელი პუნქტი, რომელიც ყოველწლიურად კოლმეურნეობებიდან იღებს 5.000 სულ მოზარდს. მეღორეობის მომგებიანობა გვაფიქრებინებს, პირუტყვის სულადობის გაზრდას.

35.000 სული ცხვარი დაბინავებული გვყავს ყიზლარის საძოვრებზე. ცხვარი უზრუნველყოფილია ბინით და საკვებით.



ს ა ლ ო მ ე   მ ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი

## ფერმიდან—დეპუტატობამდე

სალომე მამადაშვილი ერწოს მეცხოველეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწველავია. 10 წელია ასრულებს ერთსა და იმავე საქმეს — დგება გათენებამდე, სოფელ ზემო ნაქალაქარს კიდევ რომ სძინავს (22 სოფელი შედის ერწოს საბჭოთა მეურნეობაში), ჭრიალით აღებს ფერმის მძიმე კარებს, არიგებს საკვებს, წმენდს ძროხებს, წველის.

ასეა დღეში ორჯერ.

სანამ ფერმაში მოვიდოდა, სალომე მამადაშვილი მემინდვრედ მუშაობდა. მას იმდენი ენერგია ჰქონდა, რომ ოჯახსაც ჰყოფნიდა (შვილებს ზრდიდა, თბილისში სასწავლებლად გზავნიდა, ხელს უმართავდა, ახალ სახლს აშენებდა.) და მინდვრის სამუშაოებშიც პირველობდა.

გავიდა წლები და ფერმა ირჩია სამუშაოდ, უფრო მეტად დაიტვირთა თავი. სამაგიეროდ მეტმა ფულადმა შემოსავალმა წაახალისა. როცა ხალისია, მაშინ საქმე უკეთ გამოდის. 20 ძროხა ისეთ პრიმიტიულ ფერმაში, როგორიც სალომეს ხვდა წილად, ძნელი მოსავლელია. საკვების დარიგებისას სივიწროვის გამო ისე ვერ გაივლის სალომე, პირუტყვს არ შეეხოს. მექანიზაციის ვარეშე ალბათ, მანამ იმუშავებს, სანამ ერწოს საბჭოთა მეურნეობაში ახალი მეცხოველეობის კომპლექსი არ აშენდება. მშენებლობა მალე დაიწყება. შემდეგ სალომე კვალიფიკაციას აიმაღლებს და მანქანა-დანადგარებს გამოიყენებს. მაშინ ყველაფერი მექანიზებული იქნება — საკვების შემზადება — მიწოდება, პირუტყვის დარწყულება, დასუფთავება, წველა.

ეს დრო შორს არ არის. მოახლოვებული პარტიის ყრილობა მისი პატარა სოფლის წინსვლასაც შეეხება, გეზს მისცემს ახალ მშენებლობებს. მანამ კი ხალისიანი განწყობილებით შრომობს სალომე მამადაშვილი.

შრომამ მიიყვანა სოფლელი ქალი ფერმიდან საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. იგი, როგორც რესპუბლიკის დეპუტატი, ხალხის ინტერესებისათვის ზრუნავს, სხვადასხვა საკითხებს აგვარებს. აგერ ერთგან სასმელი წყალია გამოსაყვანი, მეორეგან გზებია გაფუჭებული და მოხრეშა პირდება.

მისი ყოველი დღე მეცხოველეობის ახალ კომპლექსზე ფიქრით იწყება. მაშინ სანაქებო, ჯიშიანი პირუტყვი ეყოლება. თეთრ ხალათს ჩაიცვამს და მანქანებს აამუშავებს. მაშინ შეიძლება როგორმე მიემგვანოს რუსეთის 1975 წლის ჩემპიონ მწველავს, — ანა ბურტნევას. მოსკოვის ოლქის „ილიჩის ხსოვნის“ სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ანამ უკვე მეორედ მოიპოვა ეს წოდება. იგი სრულყოფილად დაეუფლა მანქანით წველას და წელიწადში თითოეული ძროხიდან 5 ათას ლიტრს რძეს აბარებს, წინ უსწრებს გვერდით მომუშავეებს, რომელთა ნორმა 4250 ლიტრია. 1974 წელს სწორედ ამ 5 ათასი ლიტრი რძისთვის იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ჩემპიონ მწველავს 50 ძროხა ებარა, ახლა კი 110 ძროხის მოვლას კისრულობს.

— შეძლებს? — კითხულობენ გულშემატკივრები.

შეძლების გარანტიას მას აძლევს სრული მექანიზაცია, საქმის სიყვარული და კარგი განწყობილება.

ერწოში მტკიცე საკვები ბაზისათვის იბრძვიან.

ერწოში პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესება დაიწყო.

ერწოში მექანიზებულ მეცხოველეობის კომპლექსს ააშენებენ.

სალომე უმაღლესი კვალიფიკაციის მანქანასთან იტრიალებს, წველადობას 1400-1500 ლიტრიდან ნახტომისებრ გაზრდის. ძროხებიც მეტი ეყოლება, და მაშინ...

მაშინ შეიძლება საქართველოს ჩემპიონი გახდეს.

**ლია კაკაბაძე**

## სიცოცხლის ქომაგი

ხევსურთსოფლის საექიმო პუნქტში მუშაობს, როგორც იქაურები ამბობენ, არაჩვეულებრივი ექიმი მარიამ ქისტაური. ის ერთ საექიმო უბანს ემსახურება, მაგრამ არავინ იცის, სად არის ამ საექიმო უბნის თავი და ბოლო, რადგანაც ექიმს არასოდეს უკითხავს მისი მიჯნა და საზღვარი. მარიამ ქისტაურის აზრით, ავადმყოფს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, ექიმი სჭირდება, ჭეშმარიტ ექიმს კი — პაციენტი. ამიტომ მარიამი გამოძახებაზე უარს არავის ეუბნება. დადის ავადმყოფიდან ავადმყოფთან, სოფლიდან სოფელში დარსა თუ ავდარში, და თან დააქვს თაფლივით ტკბილი სიტყვა, ოთხი ათეული წლის გამოცდილება და ყველაზე უებარი წამალი-კარგი მკურნალის დიდი იმედი. ხალხში კი ლამაზი ზღაპარივით ყვებიან ამბავს მარიამ ექიმის შესახებ. უბადლო ექიმიაო, — ამბობენ ერთნი, კეთილია და სიკეთის კვალს თესავსო, — უმატებენ მეორენი, ღმერთის მსგავსი ქალიაო, — აქებენ სხვანი და იმასაც დასძენენ, რომ 40 წლის მოღვაწეობის მანძილზე თავისი საქმისა და მკურნალის სინდისისათვის ხევსურ ექიმს მარიამ ქისტაურს ახლოსაც არ გაუკარებია ანგარება და გამდიდრების სურვილი. პირიქით, გაჭირვებული ავადმყოფისათვის ხშირად თვითონ დაუტოვებია ფული, ან ვინმეს ხელით გაუგზავნია, ხელმოკლე ოჯახი აქვს, — დასჭირდებათ.

ასე ცხოვრობს მარიამი სხვათა ჭირითა და ლხინით, ცხოვრობს ხალხისათვის, სოფლისათვის. იმ მიდამოებში კი ოცდაორი სოფელია, თუმცა ექიმები აქა-იქ ამ სოფლებშიც არიან, მაგრამ სადაც არ უნდა გახდეს ადამიანი ავად, ყველგან მარიამ ექიმს მოიკითხავენ, მისკენ მიეშურებიან. ეს ბუნებრივია, მარიამი აქაური მიწის შვილია, ამ ხალხის ფესვიდანაა ამოზრდილი. მათ თვალწინ გაიარა მარიამის ბავშვობამ და ყმაწვილქალობამ, მათთან განიცადა ახალგაზრდობის მარცხი და სიხარული, აქვე დაოჯახდა, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა და სასახელო მკურნალი გახდა. მაგრამ მარიამი მარტო თერაპევტი როდია, ის საჭიროების შემთხვევაში



ქირურგიც არის, ფსიქიატრიც, გინეკოლოგიც და ლარინგოლოგიც.

სოფელ საყდრიონის საფერშლო-საბებიო პუნქტშიც ხშირად უხმობენ ხოლმე მარიამს. ასეთია სოფლის ექიმის ხვედრი — რთული და დამქანცველი. ალბათ ამიტომ გაურბიან ზოგიერთები სოფლის ექიმობას. ამჟამად თიანეთის რაიონს 35 ექიმი ჰყავს. მაშინ, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ბევრი კურსდამთავრებული წლობით დაეძებს სამუშაო ადგილს! 1939 წელს კი, როცა მარიამ ქისტაურმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, თიანეთში თითო-ოროლა ექიმი იყო. მარიამს ქალაქში დარჩენას თავაზობდნენ, წინ ფართო, საინტერესო ასპარეზი ეშლებოდა, მაგრამ მთაში ელოდებოდა მშობლიური ხალხი და მოლოდინი ვერ გაუმტყუნა. სოფელ საყარაულოში დაიწყო მუშაობა და ალბათ მთელი სიცოცხლე აქვე დარჩებოდა, ივრის წყალსადენის მშენებლობის გამო მისი საექიმო პუნქტი ხევსურთ სოფელში რომ არ გადმოენაცვლებინათ.

მეათე ხუთწლედში ხევსურთსოფელში, მარიამის საექიმო უბანში, განსაზღვრული აქვთ დიდი პოლიკლინიკის მშენებლობა. აქ ერთი ექიმის ნაცვლად მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალი იმუშავებს და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოემსახურებიან ავადმყოფებს. ახალ ხუთწლედში მარიამს გვერდით ამოუდგებიან ახალგაზრდა კოლეგები, რომელთაც თავის დიდ გამოცდილებას გაუზიარებს.

## ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თიანეთის საშუალო სკოლის ეზოში, გზისპირას პირტიტველა ჭაბუკის ბიუსტი დგას. შუბლზე ჩამოშლილი თმა, ჯიქური მზერა და ნაღვლიანი თვალები ყურადღებას გვთხოვენ. ფოტოებში სხვანაირი გვინახავს — საგანგებოდ გამოწყობილი. აქ კი შინაურულადაა — სადა, მომხიბვლელი და უაღრესად კეთილშობილური. ასეთი ახსოვთ თიანეთელებს მირზა გელოვანი.

მირზასთან პირისპირ შეხვედრამ მეხსიერებაში მისი ლექსები წამოშალა. მაგრამ უხერხულად მივიჩნიეთ მირზას წინაშე მისივე ლექსებით თავმოწონება და ვდუმდით, თუმცა სტრიქონები უნებურად აგონდებოდა: „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი", — გვპირდებოდა ცეცხლის ხაზზე მყოფი პოეტი და აკი „დაბრუნდა" კიდეც, მაგრამ უფაქიზეს მღელვარებასთან ერთად თან მოჰყვა სევდანარევი სიხარულის განცდა, აუხდენელი ოცნების სიმწვავე და უდიდესი სინანულის კიძნობა ქართული პოეზიის ერთი მაღალი ნოტის უდროოდ ჩაწყვეტის გამო. „თქვენ მაპატიეთ, ო, მაპატიეთ, დანაშაული ვერ დაბრუნების". — ალბათ ამ სინანულის საპასუხოდ წერდა პოეტი.

ძალიან კარგი საქმე გაუკეთებიათ თიანეთელებს, თიანეთის საშუალო სკოლის პედკოლექტივს. სკოლისათვის რომ მირზა გელოვანის სახელი მიუნიჭებიათ, სკოლის წინ მირზას ბიუსტი დაუდგამთ და მირზას მუზეუმიც სკოლაში მოუწყვიათ. მირზას ცხოვრება აღმზრდელობითი მაგალითის დიდ ძალად უქცევიათ, პოეტის ხსოვნა თითოეული მოსწავლის გულში უნაზესი სითბოთ დაუგვირისტებიათ.

ახლა თიანეთის სკოლის წინ ქვაში კარინდული მირზა გელოვანი მხარში უდგას ამ სკოლის პედაგოგებს და ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება. ეს საქმე ომგადახდილ პოეტს დიახაც შეშვენის, რამეთუ არის „ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი".

მირზა გელოვანის სახელობის თიანეთის სათავეში ჩაუდგა ენერგიული პედაგოგი ფატი შატბერაშვილი. ფატი ჯერ კიდევ საშუალო სკოლას დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა 1949 წელს პედაგოგის რთული და საპატიო საქმე იკისრა. ახალბედა მასწავლებელი მათემატიკას ასწავლიდა თიანეთის [illegible] ქვებოტისა და შემდეგ ახალსოფლის [illegible] წლიან სკოლებში. 1955 წელს, როგორც უნარიან პედაგოგს, ფატის თიანეთის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგეობა დააკისრეს, შემდეგ კი დირექტორად დაამტკიცეს. სკოლას დაეტყო ახალი ხელმძღვანელის ხელი.

მოსწავლეთა თანამედროვე სწავლება უაღრესად რთული, ახლებური გახდა. ეს სიახლე, სამწუხაროდ, გვიან შეაღწევს ხოლმე პერიფერიის სკოლებში. ასეა აქაც. დირექტორს ახლა უხდება ზრუნვა ქართული, რუსული, უცხო ენების, ისტორია-გეოგრაფიის, ბიოლოგიის კლას-კაბინეტების მოწყობისათვის. ძალღონე არ დაუზოგავს, რომ სკოლას ჰქონოდა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების კაბინეტი. სკოლაში ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ სრულყოფილი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას, რადგანაც თვალსაჩინოების ბაზა სათანადოდ ვერ ამარაგებს მათ. სკოლაში სივიწროვეა, შენობა არატიპიურია. ფატის ახსოვს, რომ ეს შენობა ტექნიკუმისათვის აშენეს, რომელიც მხოლოდ ოთხი ჯგუფისათვის ითვალისწინებდა საკლასო ოთახებსა და კაბინეტებს.

ახლა აქ 639 მოსწავლე სწავლობს აქვე მუშაობს მუსიკალური სტუდია, რომელიც ფატის ხელმძღვანელობით დაარსდა. ფატი შატბერაშვილი ყველაზე მეტად სასკოლო შენობის გაფართოებას ცდილობს.

25 წლის მოღვაწეობის მანძილზე ვინ დათვლის რამდენ ახალგაზრდას გაუვლია ფატის ხელში, რამდენნაირი ხასიათისა და მისწრაფების ბავშვი უნახავს, რამდენის სულში ჩაუხედავს, რამდენისათვის გაუტანებია მშობლიური სითბო. ფატის განსაკუთრებით ისინი დაამახსოვრდნენ, ვისაც შვილივით გვერდიდან ვერ იშორებდა, ზოგს იმიტომ, რომ დედით ობოლი იყო და დედისმაგიერი უნდოდა, ზოგსაც იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე არ დაჰკარვოდა ბავშვობა. ახლა ისინი უკვე დამოუკიდებელი, ძლიერი ადამიანები არიან: ნათელა ბერუკაშვილი ეკონომისტია, ჰერი მერაბიშვილი ბუნებისმეტყველია, ლია ჯიმშიტაშვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, თინა არაბული მალე ფიზიკოსი გახდება, ლუკა მოსიაშვილი მშენებელი ინჟინერია და ვინ იცის, რამდენი!

სკოლაში აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამომუშავება და შრომის სიყვარულის გაღვიძება. ამ მიზნით შეიქმნა „შრომის ბანაკი". ეს ბანაკი ორი ზაფხულია მუშაობს და ისვენებს თიანეთის რაიონის სატყეო მეურნეობაში. მეურნეობის ტყე-ველში აქტიური დასვენებითა და შრომით ახალგაზრდებმა სხეული გაიკაჟეს, უფროსებს საქმე შეუმსუბუქეს და გარკვეული ღირებულების პროდუქცია შექმნეს.

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისფერი მერანი

მოთხრობა

მხატვარი ლერი ლვინჯილია

თახში ციოდა. სარდაფიდან ფიცრის ნამტვრევების ამოტანა დაეზარა, ღუმელი არ აუნთია. ფეხზე თბილი „ბატინკები" ჩაიცვა, ტანზე — ფლანელის საშინაო კაბა. ონკანი რომ მოუშვა, ყინულის ნაფურივით ცივი წყალი წამოვიდა. გააჟრჟოლა. ხელი კი გადაიბანა, მაგრამ პირის დაბანა ვერ გაბედა. მხოლოდ თვალები ამოიწმინდა. ონკანის თავზე მიმაგრებულ დალაქულ სარკეში ჩაიხედა. ქუთუთოები შესიებოდა. სახის კანი ალაგ-ალაგ დაკორძებოდა. კარგა ხნის შეუღებავ, ხეშეშ თმაზე მარცხენა საფეთქლიდან კეფამდე თეთრი ზოლი ხნულივით გასდევდა.

თერმოსიდან ჩაი დაისხა და ზეზეულად დალია. სხეულში სასიამოვნო სითბომ დაუარა. ლოგინი არ გაუსწორებია, ჯერ ბაზარში წავალ და სახლს მერე დავალაგებო. ტანისამოსიც არ გამოუცვლია, პალტოს ქვეშ ვინ მიყურებსო. თავზე ზოლიანი კაშნე მოიხვია, ათიოდე წლის წინ შეკერილი გაფხეკილი ნაცრისფერი პალტო ჩაიცვა.

რკინის მოხვეული კიბე ხმაურით ჩაიარა. საფეხურებს მთელი სიმძიმით ურტყამდა ქუსლებს. ქვედა სართულზე ქალმა ფარდა გასწია და ეზოში ცალი თვალით გამოიჭყიტა. მერე კარი გამოაღო და გამოსძახა:

— თათია, გენაცვალე, ბაზარში მიდიხარ?

თათია მსუქანი, მოუხეშავი ტანით ზანტად შეტრიალდა.

— დეიდა საშა, გინდოდათ რამე?

— თუ არ შეწუხდები, ქინძი მიყიდე.

— რა შეწუხებაა.

ქალმა ჯიბე მოიქექა და თათიას ორშაურიანი გაუწოდა.

დეკემბრის დილა იყო. ყინავდა. ქალაქი რძისფერ ნისლში ჩაძირულიყო. პროსპექტი ხალხით იყო სავსე. „ახალი პალტო მაინც ჩამეცვა, ვაითუ ნაცნობი შემხვდესო", — სინანულით გაიფიქრა თათიამ. პროსპექტზე გავლა არ უყვარდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მაინცდამაინც პროსპექტზე უნდა გაევლო.

სიცივე გრძელი ჯოხით მიერეკებოდა ხალხს. ბეღურები შიშველი ჭადრის კენწეროებს გამხმარი ფოთლებივით შეჰყინვოდნენ.

ქუჩას ნელა მიჰყვებოდა. წინ ახალგაზრდები მიიჩქაროდნენ. ქალიშვილი წითელი ჩანთის ქნევით ვაჟებს რომელიღაც ლექტორზე უყვებოდა. გოგო მაღალი იყო და გრძელი, ბიჭური ნაბიჯებით მიდიოდა. ბიჭები მოპირდაპირე მხრიდან მომავალთ აქეთ-იქიდან სცილდებოდნენ და გოგოს ძლივს ეწეოდნენ. „ლამაზი წვივები აქვს" — თათიამ შურით გააყოლა თვალი, ამოიოხრა. სტუდენტობისას მასაც უყვარდა სეირნობა. საღამოობით, რუსთაველის ძეგლამდე, ათჯერ მაინც დაბოლთავდნენ ქუჩას. მაშინ უხაროდა, რომ ცენტრში ცხოვრობდა და პროსპექტზე მოუწევდა გავლა. ნაცნობები ცნობისმოყვარედ აყოლებდნენ თვალს, უცხო ბიჭები კი აედევნებოდნენ და ქათინაურებით თავს აბეზრებდნენ. ახლა კვირა ისე გავა, ნაცნობს არ შეხვდება. ქალაქიცა და პროსპექტიც დაცარიელდა. თითქოს მისი თანატოლების ადგილი უცხო ხალხმა დაიკავა.

ხეების ქვეშ თავდახრილი მიდის თათია. ხანდახან გახედავს სისხლსავსე პროსპექტს. უკვირს რომ სავსეა ხალხით და მაინც ცარიელი ეჩვენება. ახალგაზრდები კი სადღაც მიიჩქარიან. ვიღაცამ ისე მძლავრად გაჰკრა მხარი, კინაღამ ჩანთა გააგდებინა. „ბოლიში სად დაეკარგა?" — გაიფიქრა წყენით.

მოპირდაპირე მხრიდან მაღალი კაცი გამოჩნდა. მარჯვენა ხელში გადაკეცილი გაზეთები ეჭირა, თავისუფალი ნაბიჯით მოაბიჯებდა. გამვლელები აქეთ-იქიდან წყალგამყოფი ბორცვივით უქცევდნენ მხარს. მამაკაცი გამვლელებზე მთელი თავით მაღალი იყო. ყავისფერი, ზამშეს პალტო და ელეგანტური ფეხსაცმელი ეცვა. კუპრივით შავ თმაში ერთი ღერი თეთრი არ ერია. ლოყის თავზე შავი ხალი მის ნებისყოფიან თვალებს ბავშვურ იერს აძლევდა.

თათია შეკრთა. მამაკაცი თავაწეული და მხარგაშლილი მოდიოდა.

მოეჩვენა, რომ მას უყურებდა, პირდაპირ რომ არ შეჩეხებოდა, გზა აუქცია. ჭადრის ძირში გაჩერდა და მიმავალს თვალი გააყოლა. კაცი რაღაცაზე ფიქრობდა და ქალი არ შეუმჩნევია. ხშირად ხდება, ადამიანი მოგჩერებია, გგონია, საცაა დამელაპარაკებაო, მაგრამ ფიქრში გართული მდუმარედ ჩაგივლის.

„როგორ შეცვლილა! დავაჟკაცებულა. ვერ მიცნო"... გულში ტკივილი იგრძნო, თვალში ნაღველი ჩაუდგა. მოდუნებული ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას, ახლა უკვე ყურადღებას არ აქცევდა ყმაწვილებს, საერთო რიტმს ჩამორჩენილ ქალს წამდაუწუმ რომ აწყდებოდნენ. ფიქრებში ჩაიძირა.

...მეოთხე კურსზე იყო მაშინ თათია, ომი მძვინვარებდა. ხალხს უჭირდა. სტუდენტთა უმრავლესობა პროვინციებიდან იყო ჩამოსული. ღარიბულად ეცვათ, სახეზეც გაჭირვება ეხატათ. გალაღებული, დედისერთა ქალიშვილი ყველაფრით ირჩეოდა სხვებისაგან. ლამაზი, წერწეტა ტანი და მაღალი, სწორი წვივები ჰქონდა. „ტომარა რომ ჩააცვათ, მოუხდებაო" — ამბობდნენ გოგოები. ცდუნებას სტუდენტები კი არა, ახალგაზრდა ლექტორებიც ვერ უძლებდნენ. პატივმოყვარე ქალიშვილის გრძნობებს სათუთად ელამუნებოდა მამაკაცების ტრფიალი. ღიმილს მოწყალება-

სავით უშურველად არიგებდა: სადაც უნდა ყოფილიყო, ვაჟები მას აძლევდნენ უპირატესობას. ისიც ყოველივე ამას კუთვნილ ჯილდოსავით ღებულობდა. პაემანზეც ყოფილა თათია, მაგრამ ერთხელ შეხვედრა საკმარისი იყო, რომ ვაჟისადმი ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგოდა. ადამიანში რაღაც არაჩვეულებრივს ეძებდა, შეხვედრისას კი აღმოჩნდებოდა, რომ ყველანი ჩვეულებრივნი იყვნენ, მიწიერნი, რაც მთავარია, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

ახალგაზრდა გეოლოგმა ბევრი უტრიალა და შეხვედრაზე ძლივს დაითანხმა. საგანგებოდ გამოეწყო ქალიშვილი. წამდაუწუმ დახედავდა მინიატურულ ოქროს საათს, მამამ სკოლის დამთავრებისას რომ უყიდა. წუთები ნელა იმარცვლებოდა. თათია ათი წუთით ადრე მივიდა დანიშნულ ადგილას, ვაჟმა ათი წუთი დააგვიანა. ქუჩაში ვიღაც გადაეკიდა და ძლივს მოიშორა. გუნება წაუხდა ქალიშვილს.

ვაჟმა იბოდიშა, თათბირი გვქონდა და გამოპარვა ვერ მოვახერხეო. ბოლოს იმდენი იხუმრა, იმდენ რამეს მოყვა, თათია გამხიარულდა. ბაღში ორიოდე წყვილი დასეირნობდა. თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ და ნაყინი შეუკვეთეს.

— თათია, გიგლას ხომ იცნობ, დალის ქმარს, — დაიწყო ვაჟმა.

— გიგლა ვინ არის? — კითხა თათიამ.

— ამას წინათ გიყვებოდი, ჩემი მეგობარი...

— ჰოო...

— დალი ლამაზი ქალია, ბარე ორი არ გაივლის მისთანა რუსთაველზე.

თათიას სახე მოეღრუბლა, მაგრამ ნაძალადევად ჰკითხა:

— ხომ არაფერი დაემართა?

— ჰმ, — ვაჟმა ჩაიცინა, — ქალს, რომელიც ოცდაოთხი საათი სარკის წინ დგას და თავის გამოსახულებას ელოლიავება, რა უნდა დაემართოს. გიგლამ იკითხოს, ძეხვისა და კონსერვების ჭამით კუჭი აქვს ამწვარი...

თათია გადაკრულს მიხვდა და თავი დახარა.

— მე პირადად მკაცრი რეჟიმის კაცი ვარ, — განაგრძო ვაჟმა, — კვირაში ხუთ დღეს ბიბლიოთეკა, ერთხელ სტუმრების მიღება, ერთხელაც სტუმრად წასვლა.

„ესეც შენი სიყვარული, — გაიფიქრა თათიამ, — ნახე ახლა ქვაბების ხეხვაზე თუ არ დაიწყოს ლაპარაკი...“

ნაყინის ჭამას რომ მორჩნენ, ვაჟმა ჯიბეზე მოისვა ხელი.

— უჰ, ფული დამვიწყებია...

თათიამ პატარა საფულე გახსნა.

— რამდენი უნდა?

ვაჟმა გაიცინა.

— გეხუმრე. ნაყინის ფული რა არის და იმის არ ქონა!

თათიას უსიამოვნოდ შეეკუმშა გული. ვაჟის მიმართ შიშნარევი ზიზღი იგრძნო. ის კი განაგრძობდა:

— ოჯახი რთული რამ არის, თათია. მტერ-მოყვარეს დახვედრა უნდა, პასუხის გაცემა. მთავარი დედაკაცია, მით უმეტეს, თუ ქმარი მეცნიერებას სწირავს თავს...

თათიას მშობლებიც სულ იმას გაიძახიან, ოჯახი რთულიაო, ტკბილად კი ცხოვრობენ. არავითარ სიძნელეს არა გრძნობს თათია, მაგრამ ეს ვაჟი... დიდხანს გაჰყვა უსიამოვნო მოგონება ქალიშვილს.

პროვინციელი გოგონები თათიას მოკრძალებით ექცეოდნენ. ზოგიერთი სანდომიანიც იყო, მაგრამ ღარიბული ჩასაცმელი შნოსა და ლაზათს უკარგავდა. კურსზე ორ თბილისელ გოგოსთან ამხანაგობდა თათია. ერთს ლალი ერქვა, მეორეს — ქუქუნა. ისინიც ინაზებოდნენ, მაგრამ თათიასთან ვერ მოდიოდნენ. ლალი სხვა გოგოებშიც გაერეოდა ხოლმე. აქეთა ამბები იქით მიჰქონდა, იქითა — აქეთ. ორ ჯგუფს შორის შემაერთებელი ხიდი იყო.

ერთხელ, დიდ შესვენებაზე, ლალი აფორიაქებული მოვიდა მათთან და ვითომც სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

— ჰმ, ქვეყანა სასწაულებით არის სავსე.

— რა მოხდა? — ქუქუნამ ყურები ცქვიტა, იცოდა უამბოდ ლალი ამას არ იტყოდა.

ლალი სახეზე წამოენთო. თათიას გაუბედავად შეხედა.

— ისეთი არაფერი.

ერთი სული ჰქონდა, ამხანაგებისათვის გაენდო საიდუმლო, მაგრამ თავი შეიკავა.

— თუ არ გინდა, ნუ იტყვი, — თათიამ ზურგი შეაქცია.

ლალი ახლა კი მოლბა.

— დაიფიცე, რომ არ გეწყინება.

— მე შემეხება? — თათიამ გაკვირვებით შეხედა.

— ჰო, შენ. იმედას ყვარებიხარ.

გული უსიამოვნოდ შეეკუმშა. ცისა და დედამიწის შეერთებას მოიფიქრებდა, ამას კი არა. „ღმერთო, რას არ ვაგიბედიკენ!“

თათიამ ამრეზით გახედა ფანჯარასთან მდგომ ვაჟს, რომელიც ბიჭებს რაღაცაზე გაცხარებით ეკამათებოდა.

იმედა კახეთის სოფელ ორწეულადან იყო ჩამოსული. უშნოდ აწოწილ ბიჭს სიგამხდრისაგან ნესტოებში სინათლე გასდიოდა. ერთადერთი, რითაც შეიძლება გამოგერჩიათ, გაცრეცილ სახეზე უცნაურად მოელვარე შავი თვალები იყო.

გოგოები, რომლებმაც ყველასი ყველაფერი იცოდნენ, ამბობდნენ: მშობლები ადრე დახოცია და მოხუც ბებიას გაუზრდიაო. იმედას ქუსლებმოღრეცილი ფეხსაცმელი და ხამის შალის გაფხეკილი პიჯაკი ეცვა. ისედაც უშნო გარეგნობის ვაჟს, ჩასაცმელი საფრთხობელასავით ადგა. ამას თვითონაც გრძნობდა და ცდილობდა თვალში არავის წასჩხეროდა.

ლალის ნათქვამზე ქუქუნას გაეცინა.

თათიას სახეზე ნაცრისფერი დაედო. თვალში ცრემლი მოადგა.

— შენზე ლექსებს წერს თურმე, — გამომწვევად უთხრა ლალიმ, — ლექსები კი, იცოცხლე, კარგი აქვს. ნახე რა პოეტი დადგება!

— რაღა მიჭირს! — თათიამ ბავშვივით ამობურცული პატარა ტუჩები აიბზუა.

— უყვარხარ, ხომ არ სძულხარ, დაძალებით კი არავინ გაძალებს, — ლალი წამოწითლდა, თვალში ცრემლი მოადგა, — ალხანას ჩალხანა არ დაელევა, შენი მოსაწონი კი, მგონი ჯერ არ დაბადებულა.

ზარი დაირეკა და იმედაზე ლაპარაკი ამით დამთავრდა. მართლაც და, რა მოხდა იმისთანა. უყვარს და უყვარდეს, დიდი ამბავი! გაბედვით კი ვერაფერს გაუბედავს. ლექსებს წერსო. საინტერესოა, რას წერს. თათია დაძაბულად ადევნებდა თვალს, მაგრამ ვაჟს ერთხელაც არ უცდია მასთან დაახლოვება.

ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. ვიღაცამ მუსიკაც შეუწყო და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მღეროდნენ. ლექსები, მართლაც, კარგია, სიმღერამ ხომ ახალგაზრდები მთლად გადარია, მაგრამ საკითხავია ეკუთვნის კი ისინი თათიას? იქნება სხვას უძღვნა იმედამ და არა მას. რატომ აღარაფერს ამბობს ლალი?

როგორც კი გამოცდებს მორჩებოდნენ, სტუდენტები სოფლებში გაიკრიფებოდნენ. ხალხს უჭირდა და დასასვენებლად ვისა სცხელოდა. ზაფხულობით ფულს იწურავდნენ, რომ წლის სარჩო გამოენახათ. პროფკავშირებში საგზურები თავსაყრელად იყო. თათიას უარს არასოდეს ეუბნებოდნენ. იმ ზაფხულს წაღვერის საგზური მისცეს.

... თათია ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ნაძვნარს. ტანზე შემოტმასნილი ვარდისფერი კაბა მის მოქნილ სხეულს სინატიფეს აჩენდა. სახეზეც უხდებოდა. სქელი შავი თმა კეფაზე ჰქონდა შემოგრაგნილი. ამაყად თავაწეული მიირხეოდა. წიწვების ხალიჩა ფეხქვეშ ზამბარასავით იზნიქებოდა. დაბურულ ტოტებსშორის მზის სხივები კვამლის სვეტებად ეშვებოდა. ძირს, ხეობაში ლილისფერი მდინარე ვიდოდა. ზემოთ კი, ტანაყრილი ნაძვები, საპატიო ყარაულში მდგომი ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ.

ორი ბილიკის შესაყართან თათიამ მამაკაცი შენიშნა. ზურგზე ხელებდაწყობილი ტაატით მოყვებოდა აღმართს. ვაჟს თათია არც შეუნიშნავს, თათიას კი მოულოდნელობისაგან სუნთქვა შეეკრა. ჯერ ვერაფერი მოიფიქრა. გონს რომ მოეგო. უკან გაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ვაჟმა თავი აიღო და დიდი შავი თვალები მიაშტერა.

მერე თვალში ნათელი ჩაუდგა, გაიღიმა.

— მგონია, შეგაშინე, — რბილად უთხრა თათიას.

— უცხო მეგონე, იმედა. — თათიამაც ღიმილი შეაგება.

— უცხოების გეშინია? — ვაჟამ კვლავ შეანათა თვალები.

— მშიშარა რომ ვიყო, ტყეში მარტო არ ვივლიდი.

— მეც ასეთად გიცნობ, თათია!

ვაჟის ნებისყოფიან თვალებში სითბო ჩადგა.

თათიამ ვაჟის მზერას ვერ გაუძლო, თავი დახარა.

— რახან ასეთი გულადი ხარ, გავისეირნოთ.

ვაჟის სიტყვებში დაფარული ირონია ჟღერდა.

თავდახრილნი მიყვებოდნენ აღმართს. ვაკეზე გავიდნენ, აქედან ხეობა ხელის გულივით მოჩანდა. გაღმა ფერდობზე წითელკრამიტიანი კოხტა სახლები შეფენილიყო.

მერხზე ჩამოსხდნენ.

ვაჟი ერთხანს სოფელს უცქერდა, მერე თათიას მოუბრუნდა:

— ხედავ, რა იდილიაა!

— შესანიშნავია, — დაუმოწმა ქალმა.

— მე მგონია, აქ ორ დღესაც ვერ გასძლებ, ლალი რომ იყოს... ლალის უყვარს მყუდრო ადგილი. დაჯდება და დაწერს.

ქალიშვილს უსიამოვნოდ გაჰკენწლა გულში. „ლალი მოსწონს — გაიფიქრა, — შეიძლება ლექსებსაც მასზე წერდა. ეშმაკი გოგოა“. მერე გაახსენდა, იმედაზე ლაპარაკისას როგორ გაღიზიანდა ლალი, თვალში ცრემლიც კი მოადგა. ქალური ეჭვით აევსო გული.

— შეთქმულებივით ერთმანეთს აქებთ, — წამოსცდა უნებურად.

— მე მაქებენ? — იმედამ ჩაიცინა, — რაღაც არა მჯერა.

ვაჟს მელერი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. მისი ხმა ქალიშვილს ტკბილ მუსიკასავით ჰგვრიდა სიმშვიდეს. რაზე აღარ ილაპარაკეს, ვინ აღარ გაიხსენეს. დრო შეუმჩნევლად მიილია. ცაზე კელაპტრებივით რომ აენთნენ ვარსკვლავები, მაშინღა გაახსენდათ, რომ ვახშამზე დააგვიანდათ.

თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ხან მჟავე წყალზე ავიდოდნენ, ხან ნაძვნარში დახეტიალობდნენ. იმედა უბრალოდ, მეგობრულად ექცეოდა ქალიშვილს. ვაჟის თავშეკავებულობა თათიას კიდეც სიამოვნებდა და კიდეც აღიზიანებდა. საუზმის შემდეგ იმედა ოთახში იკეტებოდა, ან კითხულობდა, ან წერდა. ქალიშვილი ამ დროს მოწყენილი დაბორიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. ერთ ხანს სცადა ახალგაზრდების ჯგუფს მიკედლებოდა. ჩამოსვლისთანავე ყველას თავისი ჯგუფი შეეკრა და რაკიღა თათია თავიდანვე გამოეთიშა, ახლა მათთან ურთიერთობას ველარ ახერხებდა.

სადილის შემდეგ იმედა გამოჩნდებოდა და თათიას გამოუთქმელი სიმშვიდე ეუფლებოდა. მხიარულ გუნებაზე დგებოდა. თუ იმედა არ მიაკითხავდა, თვითონვე დაუწყებდა ძებნას. იმედა კარგი მოსაუბრე იყო. რაღას არ ყვებოდა. ლექსები კი ერთხელაც არ უხსენებია. ბოლო დროს თათიას ეჭვიც კი შეეპარა. ეგებ არ წერს ლექსებს. ეგებ ყველაფერი ლალის ფანტაზიის ნაყოფი იყო?

... იმ დღესაც ცისფრად შეღებილ მერხზე ისხდნენ, სადაც პირველად შეხვდნენ.

— ამბობენ, ლექსებს წერ თურმე! — გაუბედავად წამოიწყო თათიამ.

ქალიშვილს მოეჩვენა, რომ ვაჟს ფერმკრთალ სახეზე ღრუბელმა გადაუარა.

— ისე, ჩემთვის... — ჩაილაპარაკა ვაჟამ.

— წამიკითხე! — სთხოვა თათიამ.

— არა მგონია, რაღმე ღირდეს.

— წამიკითხე! — გაიმეორა ქალიშვილმა.

ვაჟამ თავი ასწია და თათიას ჯიქურ შეხედა. ქალიშვილი შეკრთა.

მხრებზე შინდისფერი ჟაკეტი მოიხურა.

იმედამ ორსტროფიანი სატრფიალო ლექსი წაიკითხა.

უბრალოდ, მაგრამ გრძნობით კითხულობდა. მჟღერ ხმაში საოცარი სითბო და სინაზე გამოსჭვიოდა.

ქალური ინსტინქტით მიხვდა, რომ ეს სითბო და სინაზე მას ეკუთვნოდა და გული აუჩქროლდა.

— კიდევ წაიკითხე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# ქალი-ლეგენდა

დიდ სამამულო ომში დაღუპულთა დედებს

ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა
ქალი — მებრძოლი,
ქალი — დედა. ქალი — ლეგენდა.
შემდეგ. უცნობი
ჯარისკაცის სავანის გვერდით,
დაუშვით ფრთხილად.
არ ატკინოთ დაჭრილი მკერდი.
მივიდეს ახლო,
გაუსწოროს ნაბრძოლს საბანი...
იქნებ მისია
რომელიმე იმ ექვსთაგანი. —
დედის სიცოცხლის
ფასი, აზრი და დამამშვენი —
დახანძრულ გზებზე
რომ გაგზავნა ქვეყნის საშველად,
თვითონ კი იქცა
მხოლოდ ნატვრად და
მოლოდინად...
მხოლოდ ფიცარი
და ფარდაგი ჰქონდა ლოგინად.
თავთით ქვა ედო —
არ იღირსა სხვა სასთუმალი
და ყოველ ლუკმას
ასველებდა ცრემლის კურცხალით.
ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა
ქალი — მებრძოლი,
ქალი — დედა, ქალი — ლეგენდა.
ყველა გმირობა
მიანიჭეთ მას, უცილობლად,
რამეთუ თავად
დედობაა დიდი გმირობა —
რომ შენს სიცოცხლეს,
შენს სიხარულს, სუნთქვას და იმედს
ქვეყნის სიცოცხლის
სანაცვალოდ შობდე და ზრდიდე.
და როს ქვეყანას
გაუჭირდა, მტერმა დაგვცოფა,
ვაჟკაცებს სცვლიდა,
სოფლად დედა ჯარისკაცობდა.
რამეთუ ექვსჯერ
მიღებული შავი ბარათით,
იმ ბარათებით —
დატენილით ხელყუმბარათი,
დედასაც ექვსჯერ
დაეფლითა უწყალოდ მკერდი,
ექვსჯერ დაეცა
თვისი ექვსი ვაჟკაცის გვერდით...
მაგრამ დგებოდა
სიჯიუტით და გახელებით...
სოფლის სიცოცხლეს
სჭირდებოდა დედის ხელები.
ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა
ქალი — მებრძოლი,
ქალი — დედა. ქალი — ლეგენდა.
რამეთუ დედამ
უმკაცრესი თმენით. ქალურით
უხმოდ ატარა
იარები თავდამალული...
და როს დამთავრდა
ის კაცთაკვლა თავზარდამცემი,
შინ ერთიც აღარ
დაუბრუნდა. კუბოს ამწევი.
ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა!

იმედამ კიდევ წაიკითხა ლექსი. მერე თხოვნა აღარ დასჭირვებია, ლექსი თავისით მოდიოდა. ფერმკრთალი სახე წამოეგზნო, თვალები აენთო, ხმაში ფოლადი გაერია.

„გინდ დაიჯერე და გინდ — არა, დამცინე, მე მაინც მიყვარხარ, მიყვარხარ თავდავიწყებით!“ — ამბობდა მისი ხმა.

ქალიშვილი მსუბუქად მოსწყდა მიწას და ნაძვების თავზე ზანტად მცურავ ღრუბლებში გაეხვია. იქ სითბო და ბევრი ყვავილი იყო და მათმა სურნელებამ თავბრუ დაახვია. ვაჟმა იგრძნო, ეს და გამხდარი, მაგრამ ღონიერი ხელით სათუთად შეეხო ქალიშვილის ნატიფ თითებს. ხელი ოდნავ შეკრთა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. ქალიშვილი ისევ გრძნობდა ყვავილების სურნელს. ძლიერი, დაკუნთული ხელი ნაზად აცურდა შიშველ მკლავზე და მხრებზე შემოეჭდო. თვალები მილულა და თავი ვაჟკაცის მკერდს მიაყრდნო. ვაჟს ქალის თმის სურნელება შეეფრქვა და, თავბრუ დაეხვა. პატარა, სწორი ცხვირის ნესტოები თრთოდნენ. ნაზი ბუსუსით დაფარული ცხელი ტუჩები ვაჟის ტუჩებს ეძებდნენ. ვაჟი გაუნძრევლად დასჩერებოდა ძვირფას სახეს და მიახლოვებას ვერ ბედავდა. არამიწიერი სილამაზით იყო დამშვენებული მისი სახე. „ასეთი მშვენიერება მიუწვდომელი უნდა დარჩეს. კერპს არ უნდა შეეხო, თორემ დაიმსხვრევა...“ მოდუნებული ხელი მხრიდან გამოცურდა, ვაჟი იდაყვით მუხლებს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო...

ქალმა თვალი გაახილა. ერთ ხანს კიდევ გრძნობდა ყვავილეის სურნელს, მერე... მიწაზე დაეშვა. აღარც ყვავილები იყო და აღარც მზე. დაბურული ხეების ძირში ფიჭვის სუნი იდგა. ამან საკმეველი გაახსენა და შეაკანკალა. წამოდგა. ვაჟი ისევ თავდახრილი იჯდა, გაუნძრევლად.

— ჯღაბნია! — ზიზღით გამოსცრა კბილებში. ქალს თვალში ისევ ის გაფხეკილი ფეხსაცმელები და იდაყვებგამოკერებული პიჯაკი მოხვდა. ვაჟს ზურგი შეაქცია და წავიდა...

დრო შეუბრალებლად ჰკეცავდა წლებს. ოცი წელი... რამდენი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში. ჯერ დედა გახდა ავად, მერე მამაც სარეცელს მიეჯაჭვა და... მარტოდ მიატოვეს თათია.

ყოველ დღე ერთი და იგივე: სახლი, სკოლა, მერე რვეულების კირკიტი. თავისუფალ დროს ხან ტელევიზორს უზის, ხან ფანჯარასთან მიიდგამს სკამს და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს. ზის თათია და ფიქრობს, რომ ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებული დრო ზანტად მიიზლაზნება.

იმედამ ჯერ ლექსები გამოაქვეყნა, მერე წიგნები გამოსცა. გასულ წელს ყუმბარასავით გასკდა მისი რომანი და საყოველთაო აღიარება მოუპოვა. თათია იმედას ერთ ლექსსაც არ უშვებდა წაუკითხავს, ერთ დღეს ჩაიკეტა და რომანიც გადაიკითხა. კითხულობდა და თავს არ უჯერებდა, რომ ასეთი ჭკვიანი წიგნის ავტორი იყო იმედა, რომელიც ინსტიტუტში დაღმეჭილი ფეხსაცმელითა და იდაყვებგამოცვეთილი გახუნებული პიჯაკით დადიოდა.

... გუნება გაუფუჭდა. გულზე მძიმედ დააწვა რაღაც. ბაზარში აღარ წასულა. მოქანცული, ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ. პროსპექტის თავში კი მაღალი კაცი მხრებგაშლილად, ლაღად მიაბიჯებდა. ზოგჯერ ისე შეაშტერდებოდა ვინმეს, თითქოს ეს-ესაა უნდა დაელაპარაკოსო. მაგრამ არავის ამჩნევდა. სადღაც შორს, საკუთარი გონების სიღრმეში იცქირებოდა. ახალგაზრდული, მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა. მხრებზე ოთხი ათეული წელი აწვა, მაგრამ წლების სიმძიმეს არა გრძნობდა. მაღალი კაცი მიდიოდა და ფიქრობდა, რომ ბედაურზე ამხედრებული დრო ჩორთით მიჰქროდა. დროს კი უნდა დასწეოდი და, თუ ვაჟკაცი იყავ, გაგესწრო კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღვადგინოთ მხატვრული ქარგვის ტრადიციები

მობრძანდა ფეხბედნიერი ახალი — 1976 წელი. წელთაცვლის ქვირაძალზე მრავალ სიახლეთა და გამარჯვებათა მომსწრე ადამიანი თვალს ავლებს წარსულს, თვალს ავლებს განსაკუთრებით ის, ვინც ყოველდღიური თავისი საქმიანობით გარემოცულია ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთებით.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, მის ათვისებასა და გონივრულ გამოყენებას გვირჩევდა დიდი ლენინი.

მინდა საახალწლო ნობათად შემოგთავაზოთ ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში დაცული ქართული ხელსაქნარის გაცნობა. ქართველი ქალის ხელით შექმნილი საუკეთესო ნიმუშები, შესრულებული მხატვრული კერვით.

ამ ძვირფასი საგანძურის ხილვით იხიბლებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებშიც იგი ძღვენის, ხარკისა და ექსპორტის სახით გადიოდა; მოხიბლულნი იყვნენ უცხოელი სტუმრებიც. XVI საუკუნეში კახეთის სამეფო კარზე მყოფმა რუსეთის ელჩებმა ქართულ ნაქარგობას „უბრძნესი ნაკერები" უწოდეს. მაღალი შეფასება მისცა ქართულ ხელსაქმეს მწერალმა ოლღა ფორშმა. მან ქართველი ქალის ხელსაქნარი მხატვრულ შედევრებად გამოაცხადა. გაეცნო რა ნაქარგებისა და ხელსაქმის სხვა ნიმუშების გამოფენას, ო. ფორში ჟურნალ „ლიტერატურნი სოვრემენიკში" წერდა: „ნაქარგი... მაღალი მხატვრული ოსტატობაა. ქართველმა ქალმა ნემსი დააყენა სახელმოხვეჭილი მხატვრის ფუნჯისა და მოქანდაკის საჭრისის დონეზე". ქართველი ქალები მართლაც იყვნენ თავისი საქმის დიდი ოსტატები. ძველი ქართული ქარგულობა ნამდვილად იმსახურებს მაღალ შეფასებას, მისი ნიმუშები დეკორაციული ხელოვნების ჭეშმარიტ მარგალიტებს წარმოადგენენ

ჩვენი მიზანია მუზეუმებში დაუნჯებული ქართული მცირე ხელოვნების საუკეთესო ქმნილებანი გავაცოცხლოთ, გავაცნოთ ფართო მასებს და, რამდენადაც შესაძლებელია, ჩავაყენოთ თანამედროვეობის სამსახურში. რატომ უნდა დავკარგოთ ეს ძვირფასი ტრადიციული „ხელით — საქმარი"? ამოვიცნოთ მასში მხატვრული კერვის ტრადიციული წესები, შევძლოთ ამ წესებისა და უძველესი სახეების გამოყენებით მათი სათანადო გადამუშავება, თანამედროვე კოსტიუმის, საყოფაცხოვრებო ნივთების გაფორმება ჩვენი დროის ესთეტიური გემოვნებისა და მოთხოვნილების შესაბამისად. და თუ ჩვენ ამას მოვახერხებთ, ეს იქნება წარსულის მონაპოვარის გონივრული ათვისების რეალური ნაბიჯი. გარდა ამისა გავეცნობით ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიულ წარსულსაც.

* * *

ტრადიციის თანახმად, ხელსაქმის ცოდნა ქალისათვის აუცილებელი იყო. ეს ტრადიცია თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ყოველი ქართული ოჯახი ხელსაქმის თავისებურ სკოლას წარმოადგენდა. არსებობდა ხელსაქმის შემსწავლელი სხვა კერებიც, როგორც ოფიციალური, ისე კერძო საოჯახო სკოლების სახით; ხელსაქმეს ასწავლიდნენ მონასტრებში და, ცალკე საამქროებშიც.

ხელსაქმეს თითქმის ყველა წოდების ქალი მისდევდა. მაღალი ფენის ქალების გაწვრთნა ამ საქმეში ძირითადად ოჯახში ან მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებში (ბოდბის, მცხეთის, მღვიმის, შუამთის, წმინდა ნინოს სახელობისა და სხვა ხდებოდა). თეიმურაზ II-ის კარზე დაახლოებული ანასტასია რთინის ასული ამირეჯიბი, როგორცა ჩანს, ქარგვაში ყოფილა დიდად დახელოვნებული და მეფის ოჯახის ქალებსაც წვრთნიდა ამ საქმეში. მას დაევალა მოექარგა საუფლისწულო დროშა, უფლისწულ გიორგის სახელწოდების დღისათვის (23 აპრილი), დროშა მას ყვითელი ატლასისაგან დაუმზადებია და ზედ ღვთისმშობლის ხატი ამოუქარგავს, ნაქარგობა ფერადი ძაფებითა და კილიტებით შეუსრულებია.

ცნობილია რომ ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს ხელსაქმე მაკა ავალიშვილ-ჭავჭავაძემ შეასწავლა. მანანა ორბელიანი, რომელიც თავისი დროის (XIX ს. I ნახ.) სახელგანთქმულ ოსტატად ითვლებოდა, სხვებსაც (მაიკო ორბელიანს და სხვა) ასწავლიდა ქარგვა-ქსოვას.

ამ მხრივ საინტერესოა მუზეუმებში დაცული ნივთიერი მასალა. ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, დაცულია ილიას მეუღლის ოლღა გურამიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის დედის ხელსაქმის მაგიდები და მათ მიერ დამზადებული ნაქარგი და ნაქსოვი ნივთები.

ძველი ქართული ნაქარგობის საუკეთესო ნიმუშები დაცულია ჩვენი ქვეყნის საგანძურებში: ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველო სახელმწიფო მუზეუმში და სხვ. მათი ჩამოთვლა და განხილვა ამ მცირე მოცულობის წერილში შეუძლებელია, შევეცდებით ზოგიერთი მათგანი შემდგომში გაგაცნოთ.

ხელსაქმე რომ ძველთაგანვე საპატიო საქმედ ითვლებოდა, ამას მოწმობს მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ თვით მეფე თამარიც კი ღამით და თავისუფალ დროს მარტოდ დარჩენილი ხელსაქმით იყო გართული. „...და ღამე ყო ხელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა". „რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღილის სასთუელი, გინა საკერავი და ნაშრომსა მას თუსთა ხელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფენ თუსითა ხელითა".

ნაქარგი სახეებით ამკობდნენ ტანსაცმლის ცალკეულ ელემენტებს (ლეჩაქს, თავსაკრავს, სარტყელ-გულისპირს, საცვლებს, შეიდიშის ტოტებს, ქოშისა და ფლოსტის პირებს და სხვა), განსაკუთრებით კი ქალის საქორწინო და გამოსასვლელ კოსტუმს (ყოველდღიური, სახმარი, ასევე ქვრივებისა და ხანშიშესულთა სამოსელი სადაა და დაუქარგავი). მხატვრული კერვით ალამაზებდნენ აგრეთვე საოჯახო დანიშნულების საგნებს: მუთაქა-ბალიშის პირებს, ფარდებს, საფენებს, პირსახოცს, პირსახოცის ჩამოსაკიდს, „კედლის ჯიბეს" და ა. შ.

ნაქარგობა ფართოდ იყო გამოყენებული სასულიერო პირთა ტანისამოსისა და საეკლესიო ნივთების შესამკობად.

ნაქარგობაზე ხშირად გვხვდება წარწერებიც. წარწერა განსაკუთრებით მაშინ იყო აუცილებელი, როცა იგი ეკლესია-მონასტრების შესაწირავად, ან ვისმეს



# ქართული მხატვრული ქარგვის ნიმუშები







ეროვნული
ბიბლიოთეკა









ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის მოსახსენებლად თუ ცოდვის მოსანანიებლად ან საძღვნოდ იყო განკუთვნილი. ქალი რომ გათხოვდებოდა, ნათლიას, მამამთილს, მაზლს, დედამთილს, მულს აუცილებლად თავისი ხელით დამზადებულ საჩუქრებს მიართმევდა (ქისას, ჩახსაკრავს, ტოლადებს, წინდებს, პირსახოცს, ბალიშისპირს და სხვა).

ქართული ნაქარგობა სრულდებოდა, ძირითადად, აბრეშუმით, ვერცხლისა და ოქროს ძაფით, იყენებდნენ მძივებსაც, აგრეთვე ძვირფას ქვებს, ლითონის ფირფიტებს, ფერადი ქსოვილის ფიგურულ სახეებს, ძაფის გრეხილებს, ნაქსოვ ზონრებსა და არშიებს.

ძველად ნაქარგობა სრულდებოდა ნამდვილი ოქროსა და ვერცხლის ძაფით, ისე რომ, საექსპორტო ნაქარგობის საშუალებით შეუმჩნევლად გადიოდა ოქრო და ვერცხლი, რისთვისაც ნაქარგობის გატანისას დაუწესებიათ ბაჟი.

საქართველოში ოქრომკედის დამზადებასა და მის ადრიდანვე გამოყენებას ადასტურებს ოქრომკედის ძაფის ნაშთები, რომლებიც აღმოჩენილია მცხეთაში, ასპარუგ ერისთავის სამარხში.

ქართველმა ქალმა ნემსითა და ძაფით, მხატვრული კერვის ნაირი წესების გამოყენებით მცირე ხელოვნების უმშვენიერესი შედევრები შექმნა, რომელთა ნაწილმა დღემდეც მოაღწია და ისინი ერის მოჭირნახულეთა თუ ხელოვნების მოყვარულთა მიერ დაუნჯებული იქნა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის საგანძურებში.

ასეთი დიდი ტრადიციების მიუხედავად, ეს საქმე საქართველოში თანდათან დაქვეითდა. XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნული ხელსაქმის აღდგენას შეეცადნენ ერის გულშემატკივარნი. ქართველ ქალთა „ამხანაგობამ“ გახსნა სახალხო სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ძველი ქართული წესით ოქრომკედით ქარგვასა და ქრა-კერვას. ამ საქმის პოპულარიზაციის მიზნით იმდროინდელი პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა წერილები.

მართალია საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მრავალი ღონისძიება გატარდა ეროვნული ხალხური ხელსაქმისა და სხვა დარგის აღდგენა-აღორძინებისათვის, მაგრამ ძველი ქართული მხატვრული კერვა კვლავ მივიწყებულია და ამ საქმის აღორძინება ისევ დღის წესრიგში დგება. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა „საქართველოს ქალის“ რედაქციამ და ძველი ქართული ქარგულობის მდიდარი ტრადიციების აღდგენის მიზნით იწყებს ისტორიული მასალების პუბლიკაციას, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

ამ მასალების პარალელურად ჟურნალში მოთავსდება ქარგვისა და ქსოვის გაკვეთილებიც.

ც. ყარაულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# დოლორეს იბარური 80 წლისაა

ფოტო გ. ზელმასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ბავშვობის ოცნებები

ნარკვევი

ალმასკომის შენობიდან რომ გამოვედით, ბინდდებოდა. მუქდებოდა ზაფხულის ხეატისაგან გამოთეთრებული კაბადონი. ვრცელ მოედანს მწუხრისპირის სიჩუმე და გრილი ზღვაური ერთდროულად დაჰპატრონებოდა.

რამდენიმე წუთით შევდექით და უხმოდ გავყურებდით თეატრის შენობის ჩამუქებულ სილუეტს და ბნელ ხეივანში ჩაფლულ ნიკოლაძის კოშკს. მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ლამარა ალმასკომში შებრუნდა, მე კი იქვე სასტუმროში ავედი, სარკმელი გამოვაღე და ქალაქს გავხედე, რომელიც თანდათან ეხვეოდა ლამპიონების შუქში. ამ დროს კოშკზე წყნარად ჩამორეკა საათმა. ღამე, ძილში დროდადრო ჩამესმოდა ეს მელოდიური რეკვა და, ბურანში მყოფს, მიხაროდა, რომ აქ ვიყავი, კოლხეთის უძველეს მიწაზე...

დილით კვლავ ალმასკომში ვიყავი და ქალაქის მთავარი არქიტექტორი — ლამარა ნოდია მიამბობდა ფოთის ზრდა-განვითარების პერსპექტივებზე, მიჩვენებდა რუკებს, სქემებს, პროექტებს. მერე ქალაქში დავყვებოდი, მასთან ერთად ვათვალიერებდი სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ცენტრალურ პარკში და პორტში; მერე მალთაყვის საკურორტო კომპლექსის მშენებლობა მოვინახულეთ. და როცა ნავით პალიასტომს ავუყევით და ვუცქეროდი მის ნაპირებზე ოქროსფერი მზით დატბორილ ტყეებს, ტბის მშვიდ სიღრმეში არეკლილ ხელთუქმნელ სილამაზეს, წყალზე გადმოფენილ მწვანე ტოტებს, და მერეც, უფრო მოგვიანოდ, როცა საზღვაო ვაგზლის აივნიდან თვალს ვადევნებდი მზის სხივების თვალისმომჭრელ ათინათს ზღვის ულურჯეს ზედაპირზე, ვგრძნობდი, რომ ეს ქალაქი უკვე ჩემიც გამხდარიყო, რომ ამიერიდან მისი სიხარული ჩემიც იქნებოდა, მისი ყოველი შენაძენი — ახალი ნაგებობა, ხიდი თუ პარკი ჩემი შენაძენიც იქნებოდა, მე შემომემატებოდა...

ეს სიყვარული ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა გადმომდო, ისევე, ალბათ, როგორც გადადებს ხოლმე ამ ქალაქში სტუმრად მყოფსა თუ სამუშაოდ ჩამოსულ ხუროთმოძღვრებს, მხატვრებს, ხელოსნებს და ისინიც მთელს სულსა და გულს აქსოვენ თავიანთ გარჯილობაში, აი, ამის საბუთიც — საზღვაო ვაგზლის ახლახან აგებული მშვენიერი შენობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლამარასთვის ფოთი არის ყველაზე დიდი და ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც ბავშვობიდანვე დაჰპატრონებია მის მთელს არსებას.

მისი ბავშვობა ომის პირქუშ წლებს დაემთხვა. იმ გაჭირვების, სიცივისა და შიმშილის წლებმა ყველას ბავშვობას დაასვა თავისი სუსხიანი დამღა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ბავშვობა, მასში მაინც აღმოჩნდება ისეთი სულიერი, ვინც ერთ ლამპარს მაინც აანთებს და დაღვრემილ სამყაროს ერთიანად გააჩახჩახებს.

ლამარასთვის მამა იყო ეს მელამპრე. ო, რა დიდებული მთხრობელი იყო მამა, რამდენი რამის მომსწრე, გამგონე, წამკითხველი! სამსახური ჰქონდა ისეთი, რომ მუდამ მოგზაურობაში იყო, მაგრამ ყოველი მისი შინ დაბრუნება გოგონასთვის ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. ზღაპარი, ლეგენდა, ნამდვილი ამბავი, საკუთარ თავზე გადამხდარი, თუ სხვის მიერ ნანახ-განცდილი, ყველაფერი ეს, მამის მიერ ნაამბობი, მშვენიერი და დაუვიწყარი იყო.

ლამარას უხაროდა დაღამება, უხაროდა, როცა ლოგინში ჩაძუნებულს, თბილად საბანამოკეცილს, მამა თავთით დაუჯდებოდა და მოყოლას დაიწყებდა.

აი, ერთ ასეთ საღამოს უამბო ლეგენდა

ჩაძირულ ქალაქზე. ქალაქი ფაზისი დიდებული და მშვენიერი, ფოთის წინაპარი ყოფილა, რადგან, მეისტორიის ცნობით, იქ ყოფილა გაშენებული, სადაც მდინარე ფაზისი — ჩვენი რიონი — შავ ზღვას ანუ მაშინდელ ევქსინის პონტოს უერთდებოდა. მდინარის მარცხენა ნაპირზე, თურმე, ქალაქის მფარველი ქალ-ღმერთის კოლოსალური ქანდაკება იდგა. უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქისკენ ხალისით მოისწრაფოდნენ უცხოური ხომალდები. ამ ქალაქზე გადიოდა დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ბერძნულ-რომაულ ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა. სამოც ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ხვდებოდნენ აქ, თურმე, ერთმანეთს.

ამ ზღაპრულმა ქალაქმა და იდუმალების ბურუსში გახვეულმა მისმა ბედიღბალმა ისე შეძრა ბავშვი, რომ ამის შემდეგ სხვა აღარაფერი აინტერესებდა და როგორც მამას დაიმარტოხელებდა, ყელგადაგდებული ეხვეწებოდა — მამი, ისევ ფაზისზე მიამბე რამე. მერე უცნაურ, თავბრუდამხვევ სიზმარივით ამახსოვრდებოდა ლეგენდები ოქროს საწმისზე, მედეაზე, არგონავტებზე...

დასაძინებლად რომ დაწვებოდა, თავზე საბანს წაიხურავდა, თვალებს დახუჭავდა და უმალ მის წინ აიმართებოდა ამომავალი მზის შუქით განათებული ქალაქი.

ის ხედავდა მარმარილოს თლილი სვეტების ზესწრაფვას, ჰაეროვანი თაღების სიდიადეს, ნატიფი ქანდაკებების მრუმე ელვარებას; ხედავდა გრილ, კრიალა ფილაქნებზე მსრბოლავ მსუბუქ ეტლებს; ხედავდა, როგორ ცეკვავდნენ მთვარით განათებულ მინდორზე თმაში ყვავილჩაწნული ქალიშვილები, როგორ აფრიალებდა ღამეული ნიავი ქიტონების მძიმე ნაკეცებს...

ცოტა რომ წამოიზარდა, ისტორიულ თხზულებებს დაუწყო ფურცვლა. ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი — ვიღას არ შეესხა ხოტბა მშვენიერი ფაზისისათვის! რა სიხარბით ისრუტავდა ამ ცნობებს ბავშვის მოუსვენარი და მაძიებელი ბუნება! როგორ ოცნებობდა იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, რაღაც სასწაულმოქმედი მანქანებით, ზღვის ფსკერიდან ამოზიდავდა ჩაძირულ ქალაქს და სიცოცხლეს დაუბრუნებდა!

ამ ოცნებაში ბავშვობაც გაუფრინდა. დაქალიშვილდა, სკოლა წარმატებით დაამთავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერ ინჟინრად მუშაობდა „კოლხიდმშენში“ და სამშენებლო სამმართველოში. იქიდან პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში გადაიყვანეს ინსტრუქტორად, შემდეგ — ტორფის ტრესტში — საწარმოო განყოფილების უფროსად. ერთხანს სამშენებლო ინსპექციის უფროსად იმუშავა. ეს რამდენიმე წელია, საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურულ-დაგეგმარების განყოფილებას ხელმძღვანელობს ანუ ქალაქის მთავარი არქიტექტორია.

დიდი ერუდიცია არაა საჭირო იმის გასარკვევად, თუ რა მძიმე ვალდებულებას აკისრებს ადამიანს ეს თანამდებობა.

დიახ, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, ლამარა ნოდიაც აგებს პასუხს შთამომავლობის წინაშე იმაზე, თუ როგორ ხუროთმოძღვრულ სახეს მიიღებს ფოთი, შავი ზღვის სანაპიროს ეს თვალ-მარგალიტი, საქართველოს საზღვაო ჭიშკარი, საუცხოო ადგილმდებარეობისა და ულამაზესი ლანდშაფტის მქონე ქალაქი.

ამ ქალაქისათვის, ერთი მზეთუნახავისა არ იყოს, სილამაზე კი უხვად დაუბერტყია გამჩენს, მაგრამ იღბალი ვერ დაუყოლებია. სხვა რა დაერქვას, თუ არა პარადოქსი იმას, რომ ერთ დროს მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული ქალაქი, სადაც რიტორიკული განათლების მისაღებად ბიზანტიიდანაც კი ჩამოდიოდნენ, ბედის უკუღმართობამ ისე დასცა, რომ ორსაუკუნენახევრის მანძილზე ოსმალთა მიერ ტყვეების სავაჭრო ბაზად იყო ქცეული[1]. განა არსებობს ჩვენი სმენისათვის იმაზე გულისმომკვლელი სიტყვა, ვიდრე — ანაკლია — ეს საქართველოს გულში დახლილი ტყვია, ცოცხალი სასაფლაო ათიათასობით უგზოუკვლოდ გამქრალი ქალ-ვაჟისა?!

დაირბა და გაჩანაგდა ლეგენდარული კოლხეთი, აიყარა, გადაიხვეწა ხალხი. რას წარმოადგენდა ფოთი, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ის შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქად გამოაცხადა? ალექსანდრე დიუმას გადმოცემით (ის დასწრებია ამ საზეიმო ცერემონიალს), ჭაობში ხის ბოძებზე შეყუნტულ ხუთმეტიოდე ოდა-სახლს, ასიოდე მაცხოვრებლით.

ადრიანოპოლის ზავმა მშვიდობა მოუტანა მრავალტანჯულ მხარეს. ისევ იწყო აქეთ ხალხმა დენა. შენდებოდა სახლები, ქარვასლები, სასტუმროები. ბოლოს ფოთის საზოგადოებამ სახელგანთქმულ მოღვაწეს — ნიკო ნიკოლაძეს სთხოვა ქალაქის თავობა და უკეთესი არჩევანი არც შეიძლებოდა. მართლაც, ნიკოლაძის ნათელი და გამჭრიახი გონება იყო საჭირო, რომ ამ ქაოტიურად მიმოფანტულ სახლებსა და ქუჩებში დაენახა მომავალი ქალაქი. ისეთივე კეთილშობილური სისადავით დაგეგმარებული, ისეთივე ჰარმონიული და ლაღად გაშლილი, როგორც დიდებული ქალაქი სანკტ-პეტერბურგი.

ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შედგა ქალაქ ფოთის გეგმა, რომელიც დღესაც რჩება ქალაქის განვითარების ძირითად გეგმად. ქალაქის ცენტრალური მოედნიდან სხივებად წასული თორმეტი ლარივით სწორი, ფართო ქუჩა, რომლის ბოლოში დამდგარი კაცი მოედნის ცენტრში აღმართულ თეატრის მშვენიერ ნაგებობას დაინახავს (ეს შენობაც ნიკოლაძისეული გახლავთ!), მართლაც რომ განუმეორებელ კოლორიტს უქმნის ქალაქს.

რევოლუციამ ახალი სიცოცხლე მისცა ფოთს. აქედან დაიწყო იმ გრანდიოზულ სამუშაოთა პირველი ეტაპი, რომელსაც კოლხეთის ბუნების გარდაქმნა ეწოდება. დაშრობილი იქნა ჭაობები ფოთისა და [illegible] შემოგარენში, მოისპო მალარია — ამ მხარის მსახვრალი სენი (ამ სენის [illegible] ჰიპოკრატე: ფასისელებს კანი ყვითელი აქვთო). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფოთი მოწინავე ინდუსტრიულ სანავსადგურო ქალაქად იქცა მაღალგანვითარებული გემთმშენებლობით, მანქანათმშენებლობით, ელექტროტექნიკური მანქანების წარმოებით, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი გაიზარდა, გაჩნდა ახალი უბნები მრავალსართულიანი სახლებითა და სკვერებით. ამჟამად აქ არის ცამეტი საშუალო სკოლა, ოთხი ტექნიკური სასწავლებელი, რამდენიმე მუსიკალური სკოლა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოცზე მეტი ბიბლიოთეკა, ათი საქალაქო და საუწყებო კლუბი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი...

ეამაყებათ ფოთელებს თავიანთი ქალაქი და თვალისჩინივით უფრთხილდებიან მის ღირსებას. ჯერ ერთი იმიტომ, გეტყვიან, რომ ჩვენს ნავსადგურში ორმოცზე მეტი სახელმწიფოს გემი დგება რეიდზე. ჰოდა, ის უცხოელი მეზღვაურები, ჩვენს ქუჩებში რომ დაიარებიან, იქნებ, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში არც არასოდეს მოხვდნენ და სოციალისტური ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგზე ჩვენი მაგალითით იმსჯელონ.

ეამაყებათ იმიტომაც, რომ მათი ქალაქი, სიდიდის მხრივ, მეორეა რესპუბლიკაში დედაქალაქის მერე; რომ ფოთური მარკით გამოსულ ნაწარმს მრავალჯერ უსახელებია თავი. ფოთის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პირმშოა მსოფლიო ასპარეზობაში სწორუპოვრად აღიარებული წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი „კომეტა“, რომელიც ისეთმა მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა შეიძინეს, როგორიცაა აშშ, გფრ, ინგლისი...

და კიდევ იმიტომაც ეამაყებათ, რომ კარგად იციან თავიანთი ქალაქის ფასი. ის კი არა, ცოტა გულდაწყვეტილებიც არიან — შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქები თვალდახელშუა შეიცვალა, ძვირფასი ნაგებობებით დამშვენდა, ჩვენს ფოთს კი, აგერ, ნახევარი საუკუნის მანძილზე ორად ორი ღირსშესანიშნაობა შეემატა — საზღვაო ვაგზალი და ელგუჯა ამაშუკელის „დიდების მონუმენტი“.

კაცმა რომ თქვას, ეს ჩივილი არც თუ უსაფუძვლოა.

ფოთის გენერალური დაგეგმარების პროექტი ზუსტად ოცი წლის წინ შედგა. ამ წლების მანძილზე, ვინ იცის, რამდენი ქალაქი დაიბადა და აშენდა ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში, რამდენმა უსახურმა და უფერულმა შეიძინა ჩვენი საუკუნის შესაფერი არქიტექტურული იერი და პეწი. ფოთის დაგეგმარების პროექტი კი ისე დაძველდა, რომ ქალაქს ბევრიც არაფერი შემატებია. დღეს ის ვეღარ პასუხობს თანამედროვე ქალაქების განაშენიანების მოთ-

ხოვნებს, ხოლო როდის მიიღებს ქალაქი ახალ პერსპექტიულ გეგმას, ეს არავინ უწყის.

პერსპექტიული გენერალური გეგმის უქონლობა კი ამუხრუჭებს ქალაქის ზრდა-განვითარებას და განაშენიანებაში გამოუსწორებელ შეცდომებს იწვევს. 1974 წლის მაისში ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის XIV მოწვევის VI სესიამ დაგმო ქალაქის განაშენიანებაში დაშვებული ნეგატიური მოვლენები და ამხილა უხეში დარღვევები ინდივიდუალურ ბინათმშენებლობასა და მიწების გამოყოფაში.

განა კოტათი დააზარალა ქალაქის იერსახე მოუფიქრებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა? მაგალითად მარტო ისიც კმარა, რომ თორმეტი რადიალური ქუჩიდან ერთი ყრუდ გადაიკეტა. ლენინის ქუჩა წისქვილკომბინატის ელევატორმა გადაფარა და თუ წინათ მოედნიდან გაშლილი ლურჯი სივრცე და ნავსადგურში მდგომი ხომალდი მოჩანდა, დღეს ასეთი ხედი აღარ არსებობს. ასევე გადაღობა ქუთაისის ქუჩა ადმინისტრაციულმა შენობამ. უსახური შენობებით ავსო სანაპირო ქუჩები.

სესიამ დასახა ღონისძიებები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და მიიღო კეთილმოწყობის სამუშაოთა ორწლიანი გეგმა, რომლის სისრულეში მოსაყვანად დიდი მუშაობა გაჩაღდა.

შედგა ქალაქის ცენტრალური პარკის რეკონსტრუქციისა და ნავსადგურის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტები და დაიწყო მათი განხორციელება. დაიწყო აგრეთვე ცენტრალური ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ორ მილიონ ორასიათას მანეთს შეადგენს.

რელიეფის თავისებურება მრავალ რთულ პრობლემას აყენებს ქალაქის მესვეურთა წინაშე. ერთ-ერთი უპირველესია — ზღვის შემოტევის შეჩერების აუცილებლობა. ამ ჯიუტი, მეთოდური შემოტევით ზღვამ ფოთს სამასამდე ჰექტარი მიწა წაართვა. ჰოდა, ახლა მის წინააღმდეგ დიდი კონტრშეტევა მზადდება: რიონს უკეთდება ჯებირები, მასში მოქცეული წყლის დონე 80 სმ-ით აიწევს, მდინარე მძლავრი ნაკადით (400 კუბომეტრი წყალი წამში) შეიჭრება ზღვაში და უკან დაახევინებს.

დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული ქალაქის ქუჩების მოვლაც. ამათი საერთო სიგრძე 140 კილომეტრს უდრის. ნიადაგი აქ ლამნარევი ქვიშაა, გრუნტის წყლები ზედაპირთან ახლოსაა, ამიტომ გზის საფარს საფუძვლიანი მომზადება სჭირდება. ამ სიძნელის მიუხედავად, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა — მოასფალტება, განათება, სანიაღვრე არხების გაყვანა, ტროტუარების დაგება.

უკანასკნელ წლებში ფოთს მნიშვნელოვნად გაუზარდეს ბიუჯეტი კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის. თუ 1972 წელს ეს ბიუჯეტი 400000 მანეთით განისაზღვრებოდა,





მოქდევნო წლებში 1.200.000 მანეთს მიაღწია. საქალაქო საბჭოს აღმასკომი ამ თანხებს არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ითვისებს. 1975 წელს მან მილიონნახევარი მანეთის სამუშაოები ჩაატარა.

აბა, ფოთელები რის ფოთელები იქნებიან, თუ მთავრობის ზრუნვის ამ გამოხატვას ენთუზიაზმით არ უპასუხეს! შარშან, გამარჯვების ოცდაათწლიან იუბილეს აღსანიშნავად, მათ დიდების ხეივანს ჩაუყარეს საფუძველი, მერე ქალაქის პლაჟი მოალამაზეს, ქუჩები და სკვერები გაამწვანეს.

ამ ქალაქის მკვიდრნი გამრჯეობით, გულღიობითა და განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით არიან ცნობილი. ფოთის ინტელიგენცია რჩეული ნაწილი გახლდათ გასული საუკუნის ქართველი ინტელიგენციისა. ამიტომ მოუხაროდათ აქეთკენ აკაკის და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს. მათი ყოველი ჩამოსვლა, ქართული თეატრის ყველა გასტროლი ამ ქალაქში ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცეოდა ხოლმე.

მაგრამ იცით, რითაა განსაკუთრებით საყვარელი ეს ხალხი? იმით, რომ არასოდეს ჰირვებია კუთხურობის მავნე სენი. აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ მოქალაქეს — სადაური ხართქო, იმას კი არ გეტყვის — მეგრელი, გურული ან იმერელიო, არამედ — საკუთარი ღირსების შეგრძნებით — ფოთელი ვარო.

მაგონდება: მთავარი არქიტექტორის კაბინეტში მოქალაქეთა მიღებას შევესწარი. რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ შემოდიოდნენ ადამიანები. ზოგს სახლის აშენება გადაეწყვიტა და საპროექტო მოცემულობისათვის იყო მოსული. ზოგს სახლის გადაკეთება სურდა და აღმასკომის ნებართვას თხოულობდა, დღის ბოლოს ოთახში მოხუცი შავოსანი ქალი შემოვიდა. მისი სახლი რეკონსტრუქციის ზონაში მოქცეულიყო — ქუჩას აფართოვებდნენ და ოჯახისათვის რამდენიმე სამოსახლო შეუთავაზებიათ ასარჩევად. მოხუცი კი ვერა და ვერ შეჩვეოდა აზრს, რომ ის ეზო-მიდამო უნდა მიეტოვებინა, სადაც სიცოცხლე გაეტარებინა. დიდხანს უსაბუთებდა ლამარა ახალი სამოსახლოს უპირატესობას: ფართობსაც მეტს გაძლევთ, ადგილიც უფრო მაღალი და მშრალიაო. ტკბილად, დაყვავებით უხსნიდა, ვინ იცის, მერამდენედ, ერთსადაიმავეს. ქალი უსმენდა, უსმენდა, თითქოს დაეთანხმებოდა, მაგრამ მერე თვალები აუწყლიანდებოდა, მუჭში ჩაჭმუჭნული ცხვირსახოცი თვალებთან მიჰქონდა და ტიროდა. ამის შემხედვარეს, ლამარას თანდათან სახე მოერღვა, ხმა ჩაუვარდა. ბოლოს ის-ღა ამოღერღა: რა ვქნათ, დეიდა, ამას ჩვენთვის ხომ არ ვაკეთებთ, ეს ჩვენს ფოთს ესაჭიროებაო.

როგორც ეს თქვა, მოხუცი ქალი სკამზე წამოიმართა, ცხვირსახოცი ხელჩანთაში შეინახა. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ წამოდგა და სთქვა: თავიდან ეგ გეთქვა, შვილო. მაპატიე, მოხუცებულს, რომ აქამდე ვერ მოვისაზრე, რა დიდი სიცოცხლე მე დამრჩენია, ფოთს შემოევლოს ისიცო.

მისი წასვლის შემდეგ მე და ლამარა დიდხანს მივჩერებოდით ერთმანეთს უსიტყვოდ. ან რა სიტყვებით გამოგვეთქვა, რაც მაშინ ვიგრძენით.

ძნელია სახელგანთქმული მოღვაწის კვალში სიარულიო, — ამბობს ხოლმე ლამარა, როცა მისი განყოფილების მუშაობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. და მართლაც, ძნელია, მითუმეტეს, თუ ამ მოღვაწის სახელი ნიკო ნიკოლაძეა. ამ ქალაქის მკვიდრთათვის ეს სახელი სინონიმია ჭეშმარიტი მამულიშვილობის, საქმისადმი თავდადების, უანგარობისა.

მალე ქალაქში მისი მონუმენტი აღიმართება. ქალაქს სხვა ღირსშესანიშნაობანიც უნდა მიემატოს: ფოთის სუნთქვასავით სჭირდება დიდი საკონცერტო დარბაზი, რკინიგზის სადგურისა და ავტოსადგურის ახალი შენობები, ხიდი, გზაგამტარი, [illegible] სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი [illegible] თა სასახლე. დროზე უნდა ჩადგეს მწყობრში მალთაყვის საკურორტო კომპლექსიც (კლიმატოლოგების თვალსაზრისით, ეს კურორტი სწორუპოვარი იქნება შავი ზღვის კურორტებს შორის). ქალაქის ხელმძღვანელობამ მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი პალიასტომის ტბის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. საბედნიეროდ, სულ ახლახან ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ასე რომ, პალიასტომიც და მისი შემოგარენიც მართლაც რომ წალკოტად იქცევა.

რაზე ოცნებობს კიდევ ქალაქის მთავარი არქიტექტორი? ლამაზ ზღვისპირა ბულვარზე („როგორ დაამახინჯა ჩვენი ბულვარი სანაპიროზე ჩამწკრივებულმა უსახურმა სახლებმა! ჩემი ნება რომ იყოს, ამ სახლებს ერთი ხელის მოსმით ავიღებდი!"); თანამედროვე ხუროთმოძღვრების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ შენობებზე, რომლებიც ზღვისპირა ქალაქის ერთიან არქიტექტორულ ანსამბლს შექმნიან („რესპუბლიკას ნიჭიერი არქიტექტორების მთელი პლეადა ჰყავს!").

როცა საქმე ქალაქის მომავალს ეხება, ლამარას ტკბილი, მელოდიური ხმა მთელი რეგისტრით მაღლა იწევს და ისეთი ინტონაციები უჩნდება, თითქოს უხილავ მოკამათეს ედავება. ახლა ის თავის კაბინეტში კედლებზე გაკრულ რუკებსა და პროექტებს შორის მიდი-მოდის, დროდადრო სავარძელზე ჩამოჯდება და ყვება, ყვება.

მაშინ მე მის დიდ, შინაგანი შუქით გაბრწყინებულ თვალებში დაჟინებით ვიცქერები და ვხედავ, რომ იქ, სულის სიღრმეში ისევ ძინავს ზღაპრულ ქალაქს. ძინავთ მარმარილოს თლილ სვეტებს, ჰაეროვან თაღებს, პორტალებსა და აკვედუკებს. თეთრი ფილებით მოკირწყლული ქუჩების მყუდროებას აღარ ამსხვრევს შორეული ბრძოლებიდან დაბრუნებული მხედრიონის თქარათქური, აღარც ბავშვების ყიჟინა, აღარც ქალების უდარდელი კისკისი...

შეძლებს ის ამ ქალაქის გაღვიძებას, სასწაულმოქმედი მანქანებით თავისი სულის ფსკერიდან ამოზიდვას?

იქნებ, შეძლოს? იქნებ, ბოლოს და ბოლოს იხილოს ამომავალი მზის შუქით განათებული თავისი ოცნების ქალაქი?

იქნებ, სწორედ ამიტომ მოუსვენრობს, ღამეებს კითხვაში ატარებს, გარიჟრაჟიდან დაღამებამდე დარბის, კამათობს, ომობს, იხვეწება, მაგრამ არასდროს თმობს, — აჰ, ცოცხალი თავით არაფერს თმობს, თუკი სჯერა, რომ თვითონ არის მართალი...

ნეტავ იმას, ვისაც ბავშვობის ოცნება მთელი სიცოცხლის მანძილზე უღალატოდ უტარებია. რა არის მისთვის ყოველდღიური ჭაპანწყვეტა, ღელვა, ფორიაქი?

მხოლოდ და მხოლოდ ჯილდო.

ჯილდო ბავშვობის ოცნების ერთგულებისათვის.

**ნანული ბარათაშვილი**

# მღერის „სამაია"



თეატრალური ინსტიტუტი. პირველი კურსი. სექტემბრის დაუვიწყარი დღეები.

ახლა რომ კითხოთ გიული დარახველიძეს, ღიმილით იტყვის: — დიახ, ვღელავდი. ეს იყო ჩემი პირველი ლექცია, პირველი შეხვედრა სტუდენტებთან, ისიც პირველკურსელებთან.

გიულიმ გაიმარჯვა: იგი სიყვარულით მიიღეს მომავალმა მსახიობებმა.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა; საფუძველი კი, გარდა უცხო ენისა, ხელოვნებისა და კერძოდ სიმღერის დიდი სიყვარულიც იყო. იმავე წელს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ინსტიტუტში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საღამო ინგლისურ ენაზე:

„თორნიკე ერისთავიდან" ნაწყვეტის წაკითხვა დამევალა. გიულიმ ჩემთან ბევრი იმუშავა.

— კარგად კითხულობ. მაგრამ მე მაინც მინდა ინოლასა და მედეას მოვასმენინო ეგ ნაწყვეტი. მათი აზრიც მაინტერესებს.

შეხვედრა ინოლა გურგულიასთან კი დაუვიწყარი აღმოჩნდა:

— ო, მობრძანდით... მაპატიეთ, ერთი წუთით. საბავშვო ბაღიდან მამუკას მოვიყვან.

მალე ოთახში პატარა ბიჭუნასთან ერთად შემოვიდა. მომისმინა. შემდეგ თავისთვის რაღაც წაიღიღინა. მამუკა აჰყვა და მოწმე გავხდი რა გატაცებით მღეროდა დედა-შვილი ქართულ თუ ინგლისურ სიმღერებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მედეა სიხარულიძეც ჩვენთან გაჩნდა. დაიწყო ჭეშმარიტი სიმღერის ზეიმი. ამღერდა სამაია: ინოლა, მედეა, გიული.

სიმღერის ტრფიალმა გოგონებმა, თურმე, უცხო ენათა ინსტიტუტში იპოვნეს ერთმანეთი: შემდეგ თვითმოქმედი ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელიც კი არ ჰყავდა, მომაღლებული ნიჭი, ენთუზიაზმი, გატაცება, სიმღერის, მუსიკის უზადო სიყვარული და განა ყოველივე საკმარისი არ იყო?

განვლო სტუდენტობის წლებმა. ინოლა უცხო ენათა ინსტიტუტში დარჩა, კათედრაზე უფროს მასწავლებლად. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, თარგმანებზეც მუშაობდა.

ახლაც მისი საბოლოო მიზანი ინგლისური პოეზიის ანთოლოგიის შექმნაა ქართულ ენაზე. და მაინც... მისი შემოქმედებითი ცხოვრების თანაზიარი მუსიკაა.

მედეა თეატრალურ ინსტიტუტში გიულისთან ერთად მოვიდა. ახლა კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კითხულობს ლექციებს ინგლისურ ენაში. ოჯახში ბავშვობიდანვე იგრძნო ქართული სიმღერის სიტკბო და ფერადოვნება. ბოლომდე მისი თაყვანისმცემელი დარჩა.

გიული თეატრალური ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრაზე ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელია. არ გაქრობია ადრეული ენთუზიაზმი და იგი სტუდენტებს ახლაც ეხმარება საკურსო სადიპლომო სპექტაკლების გაფორმებაში, ეხმარება ხალხური სიმღერების შესწავლაში.

დიახ, მათ ცხოვრებაში, მათ სულში სიმღერა დაბუდებულა, მათ ოჯახებში ღღემდე სიმღერის კულტია. მღერის მამუკა, ია, დათო, მაკა, ზაზა...

— მაკა, აბა მეორე ხმა მითხარი!

— დედა, დედა, ზაზას დაუძახე.

ბურთით ხელში შემორბის გახვითქული ზაზა და ხმას მიაშველებს. დეიდა ნინომ იგრძნო, რომ მისი ხმაც აკლდა სიმღერას, წამით მოწყდა საოჯახო საქმეს და ჩვენთან ერთად ამღერდა... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსტიტუტში გიტარისტთა წრე გიულიმ ჩამოაყალიბა. ამას წინათ, როცა გიტარაზე რომანსების ვირტუოზი შემსრულებლის — სერგო ნაცვალაძისა და გიული დარახველიძის შესანიშნავი დუეტი მოვისმინე, გაოცებულმა ვკითხე გიულის: როცა თქვენი ტრიო მღერის, გიტარის აკომპანიმენტს რატომ მხოლოდ ინოლა აკეთებს?

— რა ვიცი, მრცხვენია!..

საკმარისია რამდენჯერმე შეხვდეთ მას და, უმალვე შეამჩნევთ, რა მოუსვენარია

13057



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ ... ბიბლიოთეკა

მედეა სიხარულიძე, ისე ღელავს, თითქოს, სამივეს პასუხისმგებლობა მას ედოსო ვალად.

— ხვალ კონცერტი გვაქვს, რას შვრებით? რეპეტიცია! არავითარ შემთხვევაში ურეპეტიციოდ გასვლა არ იქნება, — ამას იმეორებს იმ სიმღერებზეც, რომელთაც 20 წელია ასრულებენ.

— თუ რაიმეს არ ვცოდავთ სიმღერაში, ეს ალბათ მედეას ორგანიზატორული ნიჭის მეოხებითაცაა, — ღიმილით ამბობენ მისი მეგობრები.

მღერის სამაია, 20 წელია სმენას ატკბობს მათი ხმების ხავერდოვნება, რეპერტუარი თანდათან ივსება კომპოზიტორი ქალების: მერი დავითაშვილის, ლილი იაშვილის, ინოლა გურგულიას, ნუნუ გაბუნიას სიმღერებით. სახალხო ასპარეზზე ტრიო 15 წლის წინათ გამოვიდა. ეს მოხდა ქალთა სატელევიზიო ჟურნალ „იავნანას“ დაარსების წელს. ფეხბედნიერი გამოდგა მათი დებიუტი „იავნანას“ პირველ ნომერში, არც შეიძლებოდა არჩევანში შემცდარიყო ჟურნალის მთავარი რედაქტორი ნუნუ ხავთასი — თავად სიმღერის დიდი ტრფიალი.

სამაია კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს, ტრიომ დიდი წარმატებით იმოგზაურა მოსკოვში, ლენინგრადში, ტალინში, ბაქოში... მათი გასტროლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებული ქართული კულტურის დღეები. გასტროლები მოსკოვში — ქართული წიგნის კვირეულთან დაკავშირებით და სხვა.

რამ განაპირო³ა მათი პოპულარობა? — სამივეს თითქმის თანაბარმა მუსიკალურმა ნიჭმა. სამივეს თანაბარმა მონაწილეობამ სიმღერის დამუშავებაში...

სამაიას პოპულარობას მოწმობს ისიც, რომ გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ ჩაიწერა და გამოუშვა მათი 60 სიმღერა. ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო მათი შემოქმედებითი საღამო, ხშირად ახმოვანებენ სიმღერებს ქართულ მხატვრულ ფილმებში ინოლა გურგულია, გიული დარახველიძე და მედეა სიხარულიძე. მათ ახლახან მოსინჯეს და პირველებმა შეასრულეს რუსული რომანსები სამ ხმაში, რამაც მოსკოველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მედეა — I ხმა, მკვეთრი, კეკლუცი ტემბრი.

გიული — II ხმა, სექსტა, სიმსუყე, სიდარბაისლე, ორივეს ეწყობა...

ინოლა — ჩადგმული ხმა, რომელიც „დარბის“, ორივეს ეწყობა.

ასე ხმაშეწყობილად მღერის 20 წელია სამი ნიჭიერი ქალი, სამი კარგი ხელოვანი, სამი ერთგული მეგობარი. ალბათ ამიტომ ამბობენ ამ შესანიშნავ სამეულზე ღიმილით: მეგობრობის დამსახურებული მოღვაწის წოდება რომ არსებობდეს, უციელოდ პირველნი მიიღებდნენო!

ირმა ბურიელი

ბელა შალვაშვილი

## ლიქოკის ჭალა

ლიქოკის ჭალა — ყვავილთა ჯარი,
ანუ ათასი ფერადი კვარი,
არა, არ არის ეს მარტო ჭალა,
და არც ეს წყალი — მარტოდენ წყალი.
ლიქოკის ჭალა — მწვანე ნაბადი,
და ამ ნაბადზე სიოთა რწევა...
ეს მცირე წყალიც გულზე გადამდის
და მეჩვენება ეს მთებიც მე ვარ.
ლიქოკის ჭალა — ნარნარი ქალი,
დიადი მთების სიმაღლით თრთოდა,
და ანთებული ათასი კვარით
მათ სიდიადეს უმღერდა ოდას.
მთებიც ამიტომ სხვაგვარად იდგნენ
და ამ ოდებით იკრებდნენ ძალას...
და მეც ამიტომ მეგონა იქნებ, —
იგი არ არის მარტოდენ ჭალა!

## ფერადი დროშები

მაქვს ოცნებათა საბადო და მონანავე კოშკები,
მარაგისათვის საბადოს ვეწვევი ხანგამოშვებით...
მერე... ვნებდები ოცნებას ჩემსკენ თოფივით მოშვერილს
და კოშკში დავაბაკუნებ ამ ჩემი ოქროს ქოშებით.
თუ მეტყვით: რაა ოცნება, როცა გარს სინამდვილეა,
ცხადში გვაქვს ოდოია და ცხადში ვმღერითო ლილეოს,
მე გეტყვით, რომ ამ ჰიმნებით ოცნება კი არ ილევა,
ოდოიაც და ლილეოც არს ოცნებათა მხილება.
დავიარები კოშკებში ამ ჩემი ოქროს ქოშებით,
სასაცილოდაც არ მყოფნის ქარი და ქარაშოტები,
მკერდს ვუშვერ უშქარ ოცნებათ, ჩემსკენ თოფივით მოშვერილს
და ფრიალებენ ფიქრები, ჩემი ფერადი დროშები.

დოდო ჯაჭვლიანი

## პოეზიას

მე გაგიხსენებ...
და ციური ნათელი შენი
გადმოვა ჩემში.
როგორც ყვავილის მოწყვეტილ ღეროს
ისე სათუთად მიგიღებს სული.
და სველი ზეცა ჩემი თვალების,
გრძელი დღეების ფერმკრთალი სხივი —
კვლავ გაბრწყინდება შენი ნათელით...
ოდეს ისურვებ და გადმოხვალ
ოქროს ეტლიდან,
რომ მზე მოჰფინო
ჩემი სულის მოწყენილ კედლებს...
მე გაგიხსენებ
და ციური ნათელი შენი
გადმოვა ჩემში...

## ღიმილი

ერთი ღიმილიც ამივსებს
მთელი სიცოცხლის ფიალას.
შენმა მზის სხივმა დამჰრა თუ
ყაყაჩომ გადამიარა.
დაფარულია მთელი გზა
დამორცხვებული იებით.
გადმომახურეს ნისლებმა
მსუბუქი დარაიები.
წამოჩოქილი ქედები
გზებით იხვევენ იარას...
მე შენმა ხილვამ დამჰრა, თუ
ყაყაჩომ გადამიარა.

## მზე

ისე უბრალოდ გადმოდის ციდან,
როგორც ნუგეში,
და ყველა ჩვენგანს
ისე უყვარს,
როგორც ალერსი
დედის ხელის და
დედის თვალების...
. . . . .
ის კი —
უბრალოდ გადმოდის ციდან...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

# შრომის უკეთესი პირობებისათვის



მუშათა სანატორიუმში

თბილისის პირველი მაისის სახელობის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში 2.200 ქალი მუშაობს.

ამჯერად უმთავრესად ვილაპარაკებთ ამ გამრჯე ქალების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობებზე...

... ყველა საამქროში დგას მავნე ჰაერის გამწოვი მილი, ყველგანაა წყლის ონკანი, საპირფარეშო, გარდერობები.

ფაბრიკასთან მუშაობს ორი ჯანპუნქტი, ჰყავთ ექიმი-გინეკოლოგი, თერაპევტი, სტომატოლოგი.

კვების მხრივაც არ არის ცუდი პირობები — დიდი, კეთილმოწყობილი სასადილო და ბუფეტი ემსახურება მუშებს, საუზმე სხვადასხვა საათებშია, საამქროების შესვენების მიხედვით.



საბავშვო ბაღი

მე-7 სამკერვალო ფაბრიკა პირველთაგანია, რომელსაც შესანიშნავი პროფილაქტორიუმი აქვს. კაპიტალური რემონტის შემდეგ, ძველი შენობა თანამედროვე სტილზე გადაკეთდა. დააშენეს მესამე სართული ღია ვერანდებითა და აივნებით. პროფილაქტორიუმი უახლესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი, აქვს თანამედროვე სამკურნალო კაბინეტები. ყოველ ნაკადზე აქ 250 მუშა ისვენებს.

პროფილაქტორიუმის გვერდით ახლადაშენებული საბავშვო ბაგა-ბაღია. მართალია ეზო ჯერჯერობით მოუწყობელია, მაგრამ არსებობს პროექტი და მალე დაიწყება მისი კეთილმოწყობა. ბაგა-ბაღი 200 ბავშვს ემსახურება.



მუშათა სანატორიუმში

ფაბრიკაში დღითიდღე უმჯობესდება მცირე მექანიზაცია. შეაქვთ უახლესი დანადგარები. ახლახან შეიტანეს უნივერსალური უთოები, რომლებიც თვითონ ნამავენ, ორთქლავენ და აუთოებენ.

მაგრამ არის ზოგიერთი მოუგვარებელი საკითხი, რაზეც მუშები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

საწარმოს ტერიტორიაზე არ არის არც ერთი სავაჭრო ფარდული, სადაც ბოსტნეული, ხილი და სხვა საჭირო პროდუქტები გაიყიდებოდა. და დიდი დროც დაეზოგებოდა აქ მომუშავე ქალებს.

ამ ბოლო დრო̈ს ჩვენს რესპუბლიკაში

მეტად კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — მსხვილ საწარმოებში დროდადრო დეფიციტური სამრეწველო საქონლის გაყიდვა ხდება, ამ ფაბრიკაში კი ეს საქმე ვერა და ვერ მოგვარდა.

ფაბრიკას არა აქვს საერთო საცხოვრებელი, რაც მეტისმეტად მტკივნეულია, გარკვეულ გავლენას ახდენს მუშათა დამაგრებაზე.

ამ ნაკლოვანებებზე მარტო მუშები არ ლაპარაკობენ, ეს აღელვებს და აფიქრებს ფაბრიკის მესვეურებსაც.

ბოლო ორი წლის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა ფაბრიკის ცხოვრება. პირველ რიგში გაუმჯობესდა მათი ნაწარმი. მანამდე არავინ ეკარებოდა მე-7 ფაბრიკის შეკერილ ტანსაცმელს. ახლა კი მომხმარებელი თხოულობს, ეძებს მათ ნახელავს — მამაკაცისა და ბავშვის კოსტუმებს, ქალის საზაფხულო პალტოებს.

საწარმოს აღმავლობას ხელი შეუწყო მომხმარებელთა მოთხოვნილების შემსწავლელი კომისიის შექმნამ. ამ კომისიის წევრები სისტემატურად, სპეციალურად გამოყოფილ დღეებში, დადიან მაღაზიებში და აკვირდებიან მომხმარებელთა გემოვნებას — რას იწონებენ, რას იწუნებენ. მერე ამის მიხედვით, სათანადო კორექტივები შეაქვთ მოდელებში. ახლა მათი გამოშვებული პროდუქცია თანამედროვემოდურია და სიამოვნებით ყიდულობს მომხმარებელი.

მუშები კმაყოფილი არიან, რადგანაც მათი ნახელავი ქებას იმსახურებს, შრომითი ანაზღაურებაც მეტია.

ფაბრიკაში თბილი, მეგობრული ატმოსფერო სუფევს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ჯანსაღ კამათს, ურთიერთ კრიტიკას.

გასულ წელს ფაბრიკას დიდი ზეიმი ჰქონდა. 1943 წლიდან აქ მუშაობს პროცესის ოსტატი მარგარიტა პაპინაშვილი. იგი წლების მანძილზე უბინაო იყო. და აი, ერთ დღეს რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოითხოვა წარედგინათ ბინის მისაღებად ყველაზე ღირსეული მუშა. საერთო კრებამ ერთსულოვნად დაასახელა პაპინაშვილი.

— ჩვენთან მოსვლა, ჩვენთან შრომა, ჩვენთან ცხოვრება უნდა უხაროდეს ყველა მუშა ქალს, აქ უნდა იგრძნონ მათ სითბო და მზრუნველობა, ყურადღება და მხარდაჭერა ყველა სფეროში, — ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი ფერია ილაშვილი, — ისინი ხომ მთელ დღეს ჩვენთან, საწარმოში ატარებენ, შრომობენ, იღწვიან, მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებაში. ისახება ახალი გეგმები, ახლა ჩვენს საწარმოში დაიწყო ბრძოლა ახალი, — ხარისხის ხუთწლედისათვის, — ამიტომ ვცდილობთ მალე აღმოვფხვრათ ის ხარვეზები, რაც ჩვენს კოლექტივს აწუხებს და ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას.

ი. გიგუში

# ჩვენს პედაგოგიურ საბჭოში

## სხდომა № 7

ამჯერად, ჩვენი პედაგოგიური საბჭოს სხდომა მეტად მცირერიცხოვანი გახლავთ. რასაც თავისი გამართლება აქვს: დღევანდელი სხდომის მიზანია წმინდა ფსიქოლოგიური გაგება დედ-მამის როლისა ბავშვის აღზრდის პროცესში. სხდომაზე საუბრობენ ფსიქოლოგები **ელენე კეჟერაძე** და **ჟუჟუნა ნეფარიძე**. ქიათურის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი **ნატო მუმლაძე**.

* * *

პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებას ემსახურება სკოლა და ოჯახი. სკოლა ვერაფერს გახდება თუ ოჯახიც არ ამოუდგა მხარში. ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს, როგორც მასწავლებელი, ისე მშობელი. მშობლის ავტორიტეტის შესახებ ბევრი დაიწერა პედაგოგიურ ლიტერატურაში, რომელთა განხილვა ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის. როგორი მოსაზრებებიც უნდა გამოთქვან მკვლევარებმა, ამოსავალი მაინც აღსაზრდელია.

**რას ფიქრობს იგი, როგორი მშობელი მიაჩნია ავტორიტეტად?**

**ნ. მუმლაძე: ქალბატონო ელენე, თქვენ, როგორც ბავშვის ფსიქოლოგიის მკვლევარი, რას გვეტყვით?**

ე. კეჟერაძე: აღზრდის პროცესში ავტორიტეტის ღირებულება თანაბარი ძალით დგას როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის წინაშე. გამოჩენილი ფსიქოლოგი და ფსიქოლოგიის დიდი მასწავლებელი დ. უზნაძე წერდა, აღზრდა უავტორიტეტოდ წარმოუდგენელია. ამ ბოლო დროს, სოციალური ფსიქოლოგიის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, ბევრ მსგავს საკითხებს იკვლევენ. მშობლისა და შვილის ურთიერთობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ჩვენ მხოლოდ მშობლის ავტორიტეტზე შევჩერდებით. დიალოგებისა და სპეციალურად შედგენილი კითხვარის საშუალებით, ამ მხრივ, შევისწავლეთ როგორც თბილისის, ისე ზოგიერთი რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეები. მე-6 კლასიდან მე-10 კლასის ჩათვლით. როგორი მშობელი მიაჩნია ბავშვს ავტორიტეტად და რატომ?

ბავშვებმა მშობლის შეფასებისა და ავტორიტეტის აღიარების მეტად ანგარიშგასაწევი მოსაზრებები წარმოადგინეს. მე გესაუბრებით ბავშვის თვალით დანახულ მშობელზე და თუ საჭირო იქნება გაგაცნობთ მათ ჩანაწერებსაც.

**ნ. მუმლაძე: — კვლევის პროცესში მაინც რაზე გაამახვილეთ ყურადღება?**

ე. კეჟერაძე: — ძირითადად მინდა შევეხო იმ საზომებს ან კრიტერიუმებს, რომელთაც ეყრდნობა ბავშვი მშობლის ავტორიტეტის აღიარებისას და იმასაც, თუ როგორ იცვლება ეს საზომები ასაკის მატებასთან ერთად.



როდესაც შეგროვილი მასალები გავაანალიზე, ავტორიტეტის სამი თვალსაჩინო საზომი გამოიყო: სუბიექტური, ობიექტური და საზოგადოებრივი. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მშობლის შეფასებისას მით უფრო ეყრდნობა ავტორიტეტის სუბიექტურ-პირად კრიტერიუმს. „მე ვუყვარვარ", „მე პატივს მცემს", „ჩემზე ზრუნავს", „ბევრ რამეს ყიდულობს ჩემთვის" და სხვა. 100 მეექვსეკლასელიდან ავტორიტეტის ასეთ შეფასებას იძლევა 70 მოსწავლე. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ამ ასაკში და უფრო ქვევითაც მოზარდის დამოკიდებულება მშობლის მიმართ პირად გრძნობებზეა აგებული, ძირითადად, ემოციური ხასიათისაა. პირველ რიგში „მე"-სადმი დამოკიდებულებაა წინ წამოწეული და ამის საფუძველზე აღიარებს მის ავტორიტეტს. ნიმუშად მოვიტანთ ერთ ჩანაწერს. მეექვსეკლასელი მოსწავლე წერს: „დედა და მამა ძალიან კარგები არიან, მუდამ თავაზიანად მეპყრობიან, დაბალი ნიშნის მიღებისას არ მსჯიან მკაცრად, მხოლოდ შენიშვნას მაძლევენ და მარიგებენ, მე მათ ვთვლი კარგ მზრუნველ და ნამდვილ მშობლებად, მათ ავტორიტეტი აქვთ".

ბავშვის ფაქიზი სული დიდისაგან გაგებას და მის პიროვნულ აღიარებას მოითხოვს. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ამიტომ ბავშვები ყურადღებას აქცევენ მშობლებ-

თან ურთიერთობის ისეთ ფორმებს როგორიცაა: თანაგრძნობა, მტკივნეული საკითხებისადმი გულთბილი დამოკიდებულება, მისი პიროვნების აღიარება და პატივისცემა. სწორედ ასეთ ადამიანს აქვს ავტორიტეტი. „დედაზე უკეთესი მეგობარი მე არ მყავს. მას შემიძლია გავანდო ყველა ჩემი საიდუმლო. ისეთი სიტყვებით მელაპარაკება, ისეთ კითხვებს მაძლევს, რომ არ შემიძლია რაიმე დავუმალო“.

ასაკის მატებასთან ერთად იკლებს ავტორიტეტის აღიარების სუბიექტური საზომი. იგი თვისობრივად იცვლება და ობიექტურ ხასიათს იღებს. ამ შემთხვევაში პირველ რიგში წინ წამოწეულია არა კერძო, პირადი დამოკიდებულება, არამედ მშობლის, როგორც სოციალური პიროვნების თვისებები, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი და საქმიანობა. ბავშვები ასეთად თვლიან შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, გარშემო ადამიანებისადმი (მეზობლები, ამხანაგები, ნათესავები) კარგ დამოკიდებულებას. მოვიტან რამდენიმე ჩანაწერს: „ჩემი მშობლები პატიოსანი შრომით ცხოვრობენ, უყვართ სხვების დახმარება გაჭირვების დროს, ისინი ზრუნავენ არა მარტო ჩვენთვის არამედ სხვებისთვისაც“. „ჩემი მშობლები ძალიან მორიდებული ადამიანები არიან, მათ კარგი დამოკიდებულება აქვთ მეზობლებთან, ნათესავებთან, ნაცნობებთან, ამიტომ ვცემ პატივს, ვაფასებ და ვცნობ მათ ავტორიტეტს“, „ყველაზე მეტად ჩემი მშობლების თვისებებიდან მომწონს სიმართლე, ოღონდაც ტყუილს ნუ მეტყვი...“ „მშობლებს პატივს ვცემ იმიტომ, რომ ისინი არიან შრომისმოყვარენი, სხვისი პატივისმცემლები. სტუმართმოყვარენი და კეთილსინდისიერნი, და რაც მთავარია, გულწრფელნი. ყველა ამ თვისების გამო პატივს ვცემ მათ“. „მამას დიდ პატივს ვცემ, რადგან ყველა შვილის მიმართ თავდადებულია, არ ახასიათებს ოჯახში ლანძღვა. მან კარგად იცის, რომ უცენზურო სიტყვების ხმარება არ არის მიღებული არა მარტო საზოგადოებაში, არამედ საკუთარ ოჯახშიც“. „ყველაზე მეტად ჩემი მშობლები მიყვარს, იმიტომ, რომ სჯერათ ჩემი“. „მამა სამართლიანია, უმიზეზოდ არასდროს მიჯავრდება, პატივს სცემს ჩემს აზრს. თუ არ მოეწონა, დამარწმუნებს, რომ მე მართალი არა ვარ. ის ყოველთვის მართალს ამბობს. თუ რამეს დამპირდება, უთუოდ შეასრულებს“.

მსგავსი ჩანაწერი უამრავია.

**ნ. მ უ მ ლ ა ძ ე: — ალბათ მშობლის ავტორიტეტის აღიარებაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს პროფესიას, სამუშაო ადგილს.**

ე. კ ე უ ე რ ა ძ ე: — რასაკვირველია, ბავშვები მსჯელობენ ადამიანის ობიექტურ, პიროვნულ თვისებებზე. მაღალ-მორალური თვისებებით შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც ინჟინერი, ისე ხარატი, ექიმი, მძღოლი და სხვა. დაბოლოს, თქვენ ყურადღებას შევაჩერებ მშობლის ავტორიტეტის მესამე კრიტერიუმზე. ესაა ავტორიტეტის საზოგადოებრივი ღირებულება. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ბავშვი მშობლის ავტორიტეტს ცნობს იმის გამო, თუ მას საზოგადოებაშიც პატივს სცემენ (საპატიო დაფაზე გამოკვრა, პრემიის მინიჭება, მედლებით დაჯილდოება და სხვა). მშობლის წარმატება სამსახურში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ავტორიტეტის აღიარების ერთ-ერთი საფუძველი ხდება, რადგან ბავშვი მშობელს სოციალური გარემოს თვალითაც უმზერს და აფასებს. როცა ესა თუ ის მშობელი სკოლის ცხოვრებაში ჩაბმულია და ზრუნავს მთელი კლასის ინტერესებისათვის ბავშვს ეამაყება და იგი უთუოდ ავტორიტეტს იმსახურებს.



**ნ. მ უ მ ლ ა ძ ე: — ბავშვთა მასალების გარჩევისას თუ შეგხვდათ ისეთი ჩანაწერები, რომლებშიც მშობლებისადმი საყვედურია გამოთქმული?**

ე. კ ე უ ე რ ა ძ ე — კი. თუ მშობელი ბავშვთან ურთიერთობის პროცესში გარკვეულ მოთხოვნებს არ უყენებს საკუთარ თავს, არ ზრუნავს ოჯახზე, არ უწევს ანგარიშს მოზარდის პიროვნებას და ოჯახის სხვა წევრებს, არის ეგოისტი და იყენებს ავტორიტეტის შექმნის მიუღებელ მეთოდებს (ცემა, ყვირილი და სხვ.), ბავშვი არ ცნობს მის ავტორიტეტს. აი, ასეთი ჩანაწერებიც: „მამას პატივს არ ვცემ იმიტომ, რომ დედას ექცევა უხეშად, უყვარს მხოლოდ საკუთარი თავი და არ არის დაინტერესებული ჩემი ცხოვრებით. დედას პატივს ვცემ და მიყვარს ძალიან, მამა მკაცრია, ხშირად დამნაშავე არ ვარ და ტყუილ-უბრალოდ მსჯის“.

„ჩემს მშობლებს პატივს არ ვცემ და არ ვაფასებ იმის გამო, რომ არ არიან ჩემზე ჰკვიანები, არ ესმით არაფერი და მე მარიგებენ, თანაც მიყვირიან ხოლმე ხმამაღლა და ყველაფერზე მეჩხუბებიან. ერთხელ მამაჩემს ავტოკალამი დაეკარგა. იცოდა, რომ მეც მომწონდა და ამიტომ მე დამაბრალა. ვერაფრით დავარწმუნე, რომ არ ამიღია. ბოლოს ტახტის ქვეშ იპოვნეს და სირცხვილის გრძნობაც კი არ გაჩენია“.

თანამედროვე გერმანელი მწერლის ფრანც კაფკას შესახებ კრიტიკოსები წერენ, რომ მთელი მისი შემოქმედება დესპოტი მამისაგან გათავისუფლების ცდაათ. იშვიათი შემთხვევაა, როცა ბავშვობაში შეძენილი „დაუკმაყოფილებლობის კომპლექსი“ შემოქმედებაში გადაიზრდება. ძალმომრეობა და უავტორიტეტო მშობლის ხელში ბავშვი აგრესიული ხდება და ბევრჯერ ცუდ წრეში ებმება, სადაც ის პიროვნულ აღიარებას პოულობს.

ბავშვი თავისი ბუნებით უშუალო და მეტად სამართლიანია, ამიტომ ვერ იტანს უსამართლოდ დასჯას. ასეთ შემთხვევაში მშობლის ავტორიტეტი ირღვევა. მართლაც, რატომაა შეუძლებელი და შეურაცხმყოფელი, როცა მშობელი რამეს აშავებს, ბოდიში მოუხადოს შვილს?! მშობლის ავტორიტეტზე ბევრი სხვა ფაქტორი მოქმედებს, ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება.

**ნ. მ უ მ ლ ა ძ ე: — თქვენ ბრძანეთ, რომ უმცროს ასაკში მშობლის ავტორიტეტი ბავშვის სუბიექტურობით განისაზღვრება, შემდეგ კი — მისი ადამიანური ღირსებებით. ხომ არ არის სასურველი, რომ ბავშვს ადრევე შევუმუშაოთ ადამიანისა და სოციალური ღირებულებებისადმი (ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, ადამიანთა ურთიერთობები) უფრო მაღალი საზომები?**

ე. კ ე უ ე რ ა ძ ე: — ჩვენი გამოკვლევის მიზანს სწორედ ამაში ვხედავთ. ყოველდღიური გარემო დაკვირვებიდან ვიცით, არც თუ ისე მცირეა ისეთი მშობლები, რომლებიც შვილებს ზედმეტად ანებივრებენ ჩაცმა-დახურვით, შეუფერებელი საჩუქრებით ასე, მოსყიდვით შექმნილი ავტორიტეტი ფუჭია. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი სოციალური არსებაა და საზოგადოებრივი ინტერესებით უნდა ცოცხლობდეს, ერკვეოდეს ნამდვილ ადამიანურ თვისებებში და ურთიერთობებში. ასეთი შვილის აღზრდა სკოლასთან ერთად ოჯახსაც ევალება.

**ნ. მ უ მ ლ ა ძ ე: — დაბოლოს, ერთი კითხვაც: 35 წელია ვასწავლი და არცერთი მოსწავლისათვის არ მითქვამს შენგან კაცი არ დადგებაო. ოჯახის მატერიალური შესაძლებლობები რა გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე?**

ე. კ ე უ ე რ ა ძ ე: — ამ კითხვასთან დაკავშირებით მე შემიძლია ორი საკითხი გამოვყო. ერთია ბავშვის ნიჭის და უნარის განვითარება და მეორე მისი, როგორც სოციალური არსების, პიროვნების ჩამოყალიბება. მაღალნიჭიერი ადამიანი შეიძლება სულაც არ იყოს კარგი პიროვნება და პირიქით. როცა ოჯახი მატერიალური შესაძლებლობებით გამოირჩევა, სასურველია იგი ბავშვის სულიერ გაღრმავებასა და განვითარებას ხმარდებოდეს, (მოგზაურობა მშობლიურ მხარეში, მხატვრული ლიტერატურის, სასწავლო და სპორტული ნივთების შეძენა და სხვა), თუ ასეთ ოჯახში „მეშჩანური“ სული ტრიალებს, მაშინ სავალალო მდგომარეობა იქმნება. ზემოაღნიშნულით იმის თქმა როდი გვინდა, რომ შედარებით მცირე მატერიალური შესაძლებლობების ოჯახებში ნიჭიერი, განვითარებული და მაღლ-მორალური პიროვნებები არ იზრდებიან. ფსიქიკის განვითარება ასეთ რამეს არ ცნობს.



ჟ. ნ ე ფ ა რ ი ძ ე: — როცა ამ მეტად საინტერესო საუბარს ვისმენ, ძალაუნებურად მახსენდება ომისდროინდელი ჩემი კლასი და საყვარელი ნატო მასწავლებელი. ლუკმა-პურს მონატრებული და გაყინულ-გათოშილები მერხზე ვისხედით, ნატო მასწავლებელი კი გვასწავლიდა ჭეშმარიტ ქართულ სიტყვას და, რაც მთავარია, ადამიანობას და ქვეყნისადმი სიყვარულს. გვაკლდა, ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ ასეთი მატერიალური ნაკლებობა, თუ შეუძლებლობა ზოგჯერ სხვაგვარ სტიმულს აძლევს ხოლმე მოზარდს, სტიმულს იმისას, რომ უფრო ღრმად ჩაიხედოს ადამიანთა რთულ ურთიერთობებში და სიცოცხლის ანკარა წყარო ეძიოს. მტკივნეული სული განცდებით მდიდრდება და მას სხვისი გაგებაც უჭირს. რა შეედრება სამწყემსურში წასული ბიჭის ალალ ოცნებებს და მის მიერ „აღმოჩენილი“ სერვანტესის, ბაირონის, გოეთეს, სტენდალის, პუშკინის, რუსთაველისა და სხვათა ნაწარმოებების კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. არის რაღაც საკუთარი, შინაგანი ხედვის თვალი, რომელიც გარეგანი მავნე ზემოქმედებისათვის ბრმაა და თვით ეძიებს იდეალს. დღესაც ვამაყობ, რომ ჩემთვის ასეთი იდეალები არიან: ქეთო ფალავა, ნატო მუმლაძე, მარგალიტა ვაშაძე, თამარ და შურა აბაშიძეები, უნივერსიტეტის სწავლის წლებში კი — ნინო ადამაშვილი და ვარლამ თოფურია.

ვინც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, შეიძლება თქვას კიდევაც: რა დროს ომი და გაჭირვებააო. კეთილი, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ იდეალისა და ავტორიტეტის პრობლემა ახლაც დგას. მაშინ მშობელი და მასწავლებელი გაჭირვებას ებრძოდნენ და სულიერად აკაჟებდნენ ახალგაზრდობას. ბრძოლა ახლაც საჭიროა, მაგრამ სხვაგვარი. ჩვენ წინ ბავშვთა უამრავი დაკვირვებებია, რომლებშიც მშობლებისადმი დიდი მოთხოვნებია წაყენებული. მოზარდს სურს თავისი სამყარო ააგოს, იგი ეძიებს პატიოსნებას, სამართლიანობას, სულიერ სილამაზეს. არ მოსწონს უპატიოსნო მშობელი, რადგან იგი ხიდია სოციალურ გარემოში გასავლელად. უნებურად ერთი სწავლულის ნათქვამი მახსენდება: ჩვენს ბავშვებს ღმერთმა ნუ აღირსოთ ომი და ფუფუნებაო. სწორედ ამ უკანასკნელზე და მასთან შეურიგებელ ბრძოლაზე მოგახსენებთ, იმაზე, ვინც მომხვეჭელია, არაკეთილსინდისიერი გზით სიმდიდრეს აგროვებს და მოზარდის სულს ამახინჯებს. ჩემის აზრით, ფუფუნება და თანაც დაუმსახურებელი, მართლაც და, უდიდეს სოციალურ უბედურებად შეიძლება ჩაითვალოს. ფსიქოლოგიაში ხშირად ლაპარაკობენ უარყოფითი მაგალითის შესახებ. ცუდ მშობელს მოზარდი ან ემსგავსება ანდა სრულიად განესხვისება. მინახავს ბრილიანტებასხმული, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებისათვის ულიმღამო, სულიერად დაცლილი ადამიანები. კარგებსაც ვხვდები.

ამას წინათ, გზად მიმავალი ორი ჭაბუკის საინტერესო საუბარს ძალაუნებურად ყური მივუგდე. ისინი ხელოვნების საკითხებზე დაობდნენ. შემდეგ თითქოს ხმა შეწყდაო, ჩურჩულით მომესმა: „გინახავთ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებიაო“. თვალი გავაყოლე იმ შესანიშნავ ახალგაზრდებს, სტუდენტთა საცხოვრებელში შევიდნენ. რატომღაც მე მათი მჯერა, და მჯერა ამ გამოთქმისაც: რაც ბავშვობაში ჩაინერგება, იშვიათად აღმოიფხვრებაო. ამიტომ უთუოდ კარგი უნდა ჩაინერგოს. როდესაც ეგზიუპერის კითხეს საიდან ხარო, მან უყოყმანოდ უპასუხა: ჩემი ბავშვობიდანო.

სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის აღზრდას სწორედ ავტორიტეტები ესაჭიროება. ჩვენი შეხვედრა მინდა მაკარენკოს სიტყვებით დავამთავრო: „მშობლის ავტორიტეტის მთავარი საფუძველი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, თუ როგორი ცხოვრობენ და მუშაობენ მშობლები, როგორია მათი მოქალაქეობრივი სახე და მოქმედება“.

**სხდომას უძღვებოდა**

**ჟუჟუნა ნეფარიძე.**



# ლურჯი მონასტერი

„ლურჯი მონასტერი“ დგას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კიროვის პარკის მახლობლად, ლეო ქიაჩელის ქუჩის ბოლოს.

ძეგლმა მთავარი სახელწოდება მიიღო იმ მოჭიქული, ლურჯი ფერის ფილებისაგან, რომლებიც ერთ დროს მისი სახურავისათვის გამოუყენებიათ.

როგორც სამხრეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული ცხრა სტრიქონიანი წარწერა გვამცნობს, ძეგლი XII საუკუნის მიწურულს, თამარის მეფობის დროს, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის აბულასანის ძმის — ქართლის მთავარეპისკოპოსის ბასილის მიერაა აშენებული.

მტრის მიერ დაზიანებათა შედეგად იგი თავდაპირველი სახით აღარაა მოღწეული. მან რამოდენიმეჯერ განიცადა შეკეთება-გადაკეთება, ჯერ — XVI-XVIII საუკუნეებში, ხოლო შემდეგ — 1878 წელს.

ძველი ძეგლისა გადარჩენილია მხოლოდ კედლების ქვემონაწილები, თლილი ქვის წყობით, და აღმოსავლეთის ფასადის ოთხი მოჩუქურთმებული სარკმელი.

ჩვენს დრომდე შემონახული ეკლესიის ძირითადი გეგმა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეკლესია თავდაპირველადაც გუმბათიანი იყო და თავისი საერთო აღნაგობითა და მოხაზულობის ხასიათით მიეკუთვნება XII-XIII საუკუნეების ცნობილ ხუროთმოძღვრულ ძეგლების (იკორთა, ქვათახევი, პიტარეთი) ჯგუფს.

ამჟამად „ლურჯ მონასტერში“ მოთავსებულია ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი.

**ირაკლი ზაქარიაშვილი**



## ჩვენი საოჯახო კლუბი

# ფრანგული კერძები

### სატაცური მოწიწებით

„რითი მიირთმევთ სატაცურს, ბატონო?“ ბატონი, ვისაც ეს შეკითხვა მისცეს, კურმანი გახლდათ. „რით და, მოწიწებით!“, — მიუგო მან.

სატაცური ბოსტნეულის დედოფალია. როცა სუფრაზე სატაცური გამოჩნდება ხოლმე, მართლაც რომ მოწიწების გრძნობა გეუფლებათ.

### ცივი სატაცური ვინეგრეტის სოუსით

**მასალა:** 500 გრ სატაცური, 1 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მწვანე ხახვი, ერთი პატარა თავი ხახვი, 1 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, 1 მწიკვი მარილი, 1 მწიკვი შავი პილპილი, 1 სუფრის კოვზი ძმარი, 3 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, 1/2 ჩაის კოვზი მდოგვი.

სატაცური გავასუფთაოთ, მოვხარშოთ მარილწყალში და გავაციოთ. ერთმანეთში კარგად ავურიოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი, ხახვი და მოხარშული კვერცხი, ძმარი, ზეთი და მდოგვი. შევაზავოთ მარილითა და წიწაკით. მიღებული მასა ავურიოთ სატაცურში და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

გათვალისწინებულია 2 ულუფისათვის.

### ცივი სატაცური ქამა სოკოს სოუსით

**მასალა:** 500 გრ სატაცური, ერთი მწიკვი მარილი, 1 სუფრის კოვზი კარაქი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი, 1/2 ჭიქა ქათმის ბულიონი, 100 გრ ქამა სოკო, 1-2 სუფრის კოვზი ნაღები, ჯავზი, 2 კვერცხის გული.

სატაცური მოვხარშოთ პირველ რეცეპტში ნაჩვენები წესით. კარაქისა, ფქვილისა და ქათმის ნახარშისაგან მოვამზადოთ გამჭვირვალე საწებელი. ქამა სოკო წვრილად დავჭრათ, მოვშუშოთ კარაქში და დავუმატოთ ნაღები, შევაზავოთ ლიმონის წვენით, ჯავზით, ნივრით, მარილითა და წიწაკით. დავუმატოთ 2 კვერცხის გული და გავაციოთ. სოუსი მივიტანოთ ცალკე, გაციებულ სატაცურთან ერთად.

განსაზღვრულია 2 ულუფისათვის.

* * *

პარიზელებს პეწიანი ცხოვრება უყვართ და ამიტომ კერძებსაც პეწიანად ამზადებენ. მაგრამ ისინი ძვირ პროდუქტებს სულაც არ ეტანებიან. ფრანგ ქალს არ მოერიდება გუშინდელი წვნიანი მოგართვათ სადილად, მაგრამ გარნირი კი უსათუოდ ახალი უნდა იყოს.

ომლეტს ფრანგი ქალები თავისებური ოსტატობით ამზადებენ, ზემოდან ოდნავ დაბრაწულს, შიგნიდან კი ღია ფერისას და ფუმფულას. ასეთი ომლეტის დასამზადებლად საჭიროა მოხერხებულობა, მოქნილი ხელები და ტაფის მარჯვედ მოხმარების უნარი. ამბობენ, საფრანგეთში მზარეულობას თუ აპირებ, ჯერ ომლეტის შეწვა უნდა ისწავლოო.

### ომლეტი მწვანილით

**მასალა:** 4-6 კვერცხი, 2 კაკლისოდენა ნაჭერი კარაქი ან მარგარინი, 2-3 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, კამა, მწვანე ხახვი, ტარხუნა), მარილი.

მძიმე, უმჯობესია თუჯის ტაფა დავდგათ ნელ ცეცხლზე და კარგად გავაცხელოთ. კვერცხი კარგად ავთქვიფოთ ჩანგლით ისე, რომ ზედაპირზე ქაფი მოიკიდოს. გახურებულ ტაფას წავუსვათ ღორის ქონის კანი ან კარაქი და მაშინვე დავასხათ კვერცხი, ტაფა რამოდენიმეჯერ შევარხიოთ, რომ კვერცხი არ მიიწვას. ომლეტი უმალ მზად იქნება. მოვაყაროთ დაკეპილი მწვანილი ან გახეხილი ყველი.

გათვალისწინებულია 2 ულუფისათვის.

### ბარდა ფრანგულად

**მასალა:** 500 გრ ახალი მწვანე ბარდა, მომცრო თავი ხახვი, 2-3 სუფრის კოვზი კარაქი, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი, ერთი მწიკვი მარილი, ერთი მწიკვი შაქრის ფხვნილი, დაჭრილი მწვანე ოხრახუში.

ხახვი ჩავშუშოთ კარაქის ნახევარში, დავუმატოთ ცოტა წყალი. შემდეგ დავუმატოთ ბარდა და ვშუშოთ დაახლოებით 10 წუთი. ამის შემდეგ ჩავაყაროთ ფქვილი და ფრთხილად ავურიოთ. სულ ბოლოს ვუყოთ მარილი, შაქარი და ყველაფერი ერთად ვადუღოთ ნელ ცეცხლზე. ბოლოს მოვაყაროთ მწვანე ოხრახუში, დავუმატოთ კარაქის მეორე ნახევარი და პირდაპირ მივიტანოთ სუფრაზე.

### შემწვარი კურდღლის ხორცი

**მასალა:** 1.200 გრ კურდღლის ხორცი, 1-2 კბილი ნიორი, სტაფილო, 1 შეკვრა ოხრახუში, 3-4 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, 125 გრ ღორის ქონი, 12 ცალი მომცრო თავი ხახვი, 2 სირჩა (არყის ჭიქა) თეთრი ღვინო, 1 ჭიქა ცხელი წყალი, 2 სუფრის კოვზი ტომატ-პიურე, 200 გრ ქამა სოკო.

ნიორი, 3 თავი ხახვი და ოხრახუში წვრილად დავჭრათ, ქვაბში გავადნოთ კარაქი, ჩავალაგოთ შიგ ღორის ქონის და კურდღლის ხორცის ნაჭრები, დავუმატოთ დარჩენილი დაჭრილი ხახვი, მწვანილი, ყველაფერი კარგად ავურიოთ ერთმანეთში, დავასხათ ცოტა წყალი, თეთრი ღვინო და დავდგათ მოსაშუშად 1 საათით. შემდეგ ვუყოთ ტომატ-პიურე და თხლად დაჭრილი ქამა სოკო. ვშუშოთ მომზადებამდე. კერძი მოვათავსოთ შემთბარ ლითონის ტაფებზე.

გათვალისწინებულია 6-8 ულუფისათვის.

### ქათამი ღვინით

**მასალა:** 1-2 საშუალო სიდიდის წიწილა, 2 სუფრის კოვზი ქათმის ცხიმი ან კარაქი, 60-100 გრ ოთხკუთხედებად დაჭრილი ღორის ქონი, 8 საშუალო ზომის ხახვი, 125 გრ ქამა სოკო, 1 სირჩა კონიაკი 1/2 ლიტრი წითელი ღვინო, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 1 კბილი ნიორი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი, მარილი, პილპილი.

წიწილები ოთხად დავჭრათ და ტაფაზე ისე შევწვათ ცხიმში. შემდეგ ავიღოთ ტაფიდან და ზედ მოვალაგოთ დაჭრილი ღორის ქონის ნაჭრები, 2 თავი ხახვი, წვრილად დაჭრილი ქამა სოკო და დანაყილი ნიორი. ცოტახანს ვშუშოთ. შემდეგ ისევ დავალაგოთ ტაფაზე ქათმის ხორცის ნაჭრები, დავასხათ ერთი სირჩა კონიაკი, მოვაყაროთ ფქვილი, დაფნის ფოთოლი, დარჩენილი ხახვის ნახევარი. ყველაფერი კარგად ავურიოთ ერთმანეთში და დავუმატოთ წითელი ღვინო, შევაზავოთ მარილით და წიწაკით. ხორცი ამოვიღოთ და წვენი ვადუღოთ. როცა წვენი გამზადდება, ჩავალაგოთ შიგ ცხელი ხორცის ნაჭრები და ისე მივიტანოთ მაგიდაზე.

გათვალისწინებულია 2-4 ულუფისათვის.

# ექსუდაციური დიათეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსუდაციური დიათეზი ადრეული ასაკის ბავშვთა პათოლოგიის ერთ-ერთი თავისებური ფორმაა, რომლის მაქსიმალური გამოვლინება 2-3 წლის ასაკში შეინიშნება.

ხშირად ამ დაავადებას შთამომავლობითი (გენეტიკური) ხასიათი აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსუდაციური დიათეზი კონსტიტუციური, თანდაყოლილი ანომალიაა და არა დაავადების ცალკეული (ნოზოლოგიური) ერთეული. იგი ისეთი დაავადებებს გულისხმობს, როგორიცაა ეგზემა, ნეიროდერმიტი და სხვა. ხშირად ეს ანომალია სხვადასხვა სინდრომითაა გამოხატული.

ავადმყოფი ბავშვის ორგანიზმის რეაქტიულობა (ორგანიზმის მგრძნობელობა) შეცვლილია, ალერგიულია, ნივთიერებათა ცვლა დარღვეულია, ზიანდება ფერმენტული სისტემაც.

ექსუდაციური დიათეზის კლინიკური გამოვლინება უფრო ხშირად დიდი წონით დაბადებულ ბავშვებს აღენიშნებათ. სიცოცხლის პირველ თვეებშივე მათ კანის ნაოჭებში სხვადასხვა ზომისა და სიძლიერის გამონაყარები (გამოწვა) უვითარდებათ. ბავშვი წონაში სწრაფად მატულობს, ამასთან, მდგრადი არ არის წონის მრუდი. ბავშვები ტოვებენ პასტოზურობის (ღონდლო) შთაბეჭდილებას, ადრე უვითარდებათ ზემო სასუნთქი გზების ანთებითი პროცესები, მიდრეკილნი არიან ბრონქიტებისადმი, ზოგჯერ ემართებათ ბრონქიალური ასთმის შეტევაც. თავის თმიან ნაწილებში და წარბქვეშა რკალებზე უვითარდებათ სებორეა (კანის აქერცვლა), რომელიც ზოგჯერ ინტენსიურადაა გამოხატული ნაცრისფერმოყვითალო ქერქების სახით. სახის კანი, განსაკუთრებით ლოყები, მკვეთრად ჰიპერემიულია (წითელია), მშრალია და ადვილად სკდება.

კანის ნაოჭებში, კისრის, ყურების უკან და იღლიის ფოსოების მიდამოებში სველი ზედაპირი წარმოიშობა. ტანისა და კიდურების კანზე პერიოდულად სხვადასხვა სახის გამონაყარი წარმოიქმნება, იგი ქავილს იწვევს, რაც ძლიერ აწუხებს ბავშვს, აუკუღმართებს მის ზოგად მდგომარეობას და ძილს, ხოლო კანის დაზიანება (ნაკაწრები) მეორად ინფიცირებას (ინფექციის შეჭრას) განაპირობებს. გარდა ამისა ზიანდება პირის, ცხვირისა და თვალის ლორწოვანი გარსი. ასეთი ბავშვები ყაბზობისადმიც (შეკრულობა) არიან მიდრეკილნი. პერიფერიული ლიმფური ჯირკვლები გადიდებული აქვთ.

ექსუდაციური დიათეზით დაავადებულ ბავშვებს იმუნიტეტი (დაავადების მიუღებლობის უნარი) დაქვეითებული აქვთ, რის გამოც დაავადება მაგრად ჰკიდებს ხელს და ხშირად ქრონიკულ ფორმაშიც გადადის.

ორი-სამი წლის ასაკში კანის მხრივ მოვლენები საგრძნობლად მცირდება ან სრულიად ქრება. ბავშვების ნაწილს მნიშვნელოვანი სიგამხდრე ემჩნევათ, ადვილად აღიგზნებიან და ბევრს მოძრაობენ.

ექსუდაციური დიათეზის დროს კანის მოვლენები სუსტადაა გამოხატული ან სრულიად არ არსებობს. დიაგნოზის დასმისას მხოლოდ კანის მიხედვით მსჯელობა, რაც ხშირია პრაქტიკაში, დაუშვებელია.

ექსუდაციური დიათეზის თავიდან აცილება (პროფილაქტიკა) ძირითადად ქალის ორსულობის პერიოდში რეჟიმის სწორ დაცვაში გამოიხატება. სწორ კვებას, გრიპოზული და სხვა ინფექციების თავიდან აცილებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ დაავადების დროს ძირითადი მიზანია ორგანიზმის რეაქტიულობის მოწესრიგება, პარალელურად კი კანის მკურნალობაც. დაავადებული ბავშვი მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს. დაუშვებელია მხოლოდ პერიოდული, ხანმოკლე და სიმპტომატური თერაპიით მკურნალობა. ეფექტს მხოლოდ სისტემატური, ხანგრძლივი, ბეჯითი მკურნალობა იძლევა და თავიდან გვაცილებს გამწვავებებს.

ძირითადი ღონისძიებებია ჰიგიენური რეჟიმის ოპტიმალური პირობების შექმნა, ბუნებრივი კვება, სისუფთავე, ჯანსაღი ჰაერი.

ბავშვი უნდა ვავარჯიშოთ სისტემატურად. ვეცადოთ გავაკაჟოთ, რათა საშიში არ იყოს მისთვის ჰაერის ტემპერატურის მერყეობა, ყოველნაირად ვეცადოთ დავიცვათ იგი ინფექციებისაგან. აცრა უნდა ჩატარდეს დიდი სიფრთხილით. აცრისადმი ტრაფარეტულმა მიდგომამ შესაძლოა მძიმე რეაქცია გამოიწვიოს.

6 თვის ასაკში საკვების დანიშვნისას საჭიროა გამოვარკვიოთ ამ საკვების გავლენა ორგანიზმზე. ზოგიერთ ბავშვს დიათეზის მოვლენები ცილის მიღებისას უძლიერდება, ზოგი ცხიმზე რეაგირებს. ბავშვმა ძირითადად უნდა მიიღოს მცენარეული საკვები, რძე დღეში 500-600 გრამამდე უნდა შეიზღუდოს.

ადრეულ ასაკიდანვე აუცილებელია ჰაერის აბაზანები, ყოველდღიურად წყლის გადავლება ან დაზელვა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ფრთხილად, ყოველი 2-3 დღის შემდეგ ტემპერატურის ნელ-ნელი დაქვეითებით (1-2 გრადუსით, 37-დან 25 გრადუსამდე).

კანის დასამუშავებლად უნდა გამოვიყენოთ სტერილური ზეთი, თევზის ქონზე დამზადებული სტრეპტოციდის ემულსია, მალამოები ანტიბიოტიკებისა და ანესთეზინის შერევით.

უკანასკნელ წლებში წარმატებით იყენებენ ვიტამინს A-ს.

დაავადებული ბავშვის დროული და სწორი მკურნალობა მისი სრული გაჯანსაღების გარანტიაა.

გ. მდინარაძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

გარეკანის პირველ გვერდზე—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ-ის XXV ყრილობის დელეგატი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა თ ა მ ა რ დ ა ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი; მეოთხე გვერდზე — საღამოს კაბები. მოდელები გ. ნ ა ნ უ კ ა შ ვ ი ლ ი ს და ს. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ა. ფერადი ფოტო დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა; სლაიდები ე. კ რ ა ს ტ ო შ ე რ ს კ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 21/XI-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/I-76 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 121 550 შეკვ. 4249 უე 00609 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი მირცა

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან მირცა კალანდაძე — ჩვენი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სსრკ კომუნისტური პარტიის წევრი 1944 წლიდან.

წავიდა ჩვენგან, ჩვენი მირცა, ჩვენი უფროსი და და მეგობარი, ჩვენთან საქმით შეზრდილი, ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე — ქალი, რომელმაც ქართული პრესის სამსახურად მიიტანა თავისი ახალგაზრდობა, ქალობა, მთელი შეგნებული ცხოვრება. მარტო „საქართველოს ქალის“ რედაქციაში გაატარა მან თავისი ცხოვრების ბოლო, 19 წელი. მანამდე კი:

1910 წელი, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ხიდისთავი აქ დაიბადა მირცა ილიას ასული კალანდაძე.

1927 წელი — დაამთავრა ქ. ფოთის ათწლიანი სკოლა.

1928-1929 წლებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში „საქაბრეშუმის“ ინსტრუქტორად.

1929-1932 წლებში სხვადასხვა დროს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის, ბუკნარის, ხიდისთავის სკოლებში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

1932 წლიდან თბილისშია გაზეთ „საქართველოს შინამრეწველის“ პასუხისმგებელი მდივანი.

1933-1939 წლებში ჟურნალ „მშრომელი ქალის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

1939-1941 წლებში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის განყოფილების გამგე.

1941-1944 წლებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ლიტმუშაკი.

1944-1947 წლებში — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კომკავშირული ცხოვრების განყოფილების გამგე

1947-1952 წლებში — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე

1952-1957 წლებში გაზეთ „კომუნისტის რედაქციის საბჭოთა მშენებლობის განყოფილების გამგე.

1957 წლიდან — დღემდე კი „საბჭოთა ქალი“, „საქართველოს ქალი“ და ისევ ქალთა ჟურნალით შეიკრა მირცა კალანდაძის ჟურნალისტური საქმიანობის წრე. იგი მძიმე ავადმყოფობის შედეგად, და მაინც ჩვენთვის მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. მოულოდნელად შეწყდა მისი მაჯისცემა.

... გულისტკივილით ვხსნით მის საქაღალდეებს, ვფურცლავთ ქაღალდებს, რომელთაც მირცას ნააზრევი, ნაშრომი და თითქოს ხელის სითბოც შემორჩენიათ... ნარკვევები, თარგმანები, წერილები — ყველაფერი, რითაც უცხოვრია ამ კედლებში მას, როგორც ავტორს თუ მთარგმნელს და როგორც რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს — ჩვენი ერთობლივი შრომის, ღელვის, ცხოვრების დოკუმენტები.

აქ, მირცას ოთახში ჯერ კიდევ ყველაფერი ისეა, როგორც დატოვა... და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს სადაცაა შემოაღებს კარს, რომ ისევ ერთად დავსხდეთ და გავაგრძელოთ ერთობლივი შემოქმედებითი ცხოვრება — საწარმოო თათბირი თუ კრება, ანდა ბოლოსდაბოლოს უბრალო გულითადი საუბარი...

მღელვარე, საქმიანი, ენერგიული, გონებანათელი — ასეთი იყო და დარჩება მირცა კალანდაძე ჩვენი სარედაქციო კოლეგიისა და კოლექტივის, მისი მეგობრების ხსოვნაში.

იყო და აღარ არის... წავიდა ჩვენი „ოჯახიდან“, წავიდა და დაგვიტოვა თავისი სულიერი ცხოვრების დიდი ნაწილი, გულისტკივილი განშორებისა და კეთილი ხსოვნა მეგობრისა, რომელიც ჩვენს გვერდით შრომობდა, ფიქრობდა, ღელავდა უკეთესი მერმისისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ИНДЕКС 76178

# გრძელი კაბები







დღევანდელმა მოდამ, დიდი ხნის მივიწყებული გრძელი კაბით, ქალთა უმრავლესობა კვლავ ააფორიაქა და განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია.

მოდის ამ სიახლეს, როგორც წესი, ყველაზე სწრაფად ახალგაზრდობა გამოეხმაურა, მაგრამ არც სხვა ასაკის ქალები დარჩნენ გულგრილნი — აშკარად თუ მალულად მათაც გაუჩნდათ ინტერესი ატარონ გრძელი კაბები.

რა არის მიზეზი, რომ ახალ მოდას ამდენი თაყვანისმცემელი გაუჩნდა?

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ მოკლე კაბის თითქმის ათწლიანმა ბატონობამ თავისთავად დაბადა სურვილი კაბის სიგრძის შეცვლისა. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ გრძელი კაბა ქალს მატებს მომხიბვლელობას, ტანს უფრო მოხდენილს ხდის.

ტანსაცმელი დაგრძელდა. დღეს მოდა გვთავაზობს სიგრძის ორ ვარიანტს — ე. წ. „მოდას" — მუხლის ქვემოდ 10-დან 20 სმ-მდე ყოველდღე სატარებელი სამოსისათვის და კოჭებამდე გრძელ კაბას, მხოლოდ და მხოლოდ დასვენების დროს და საღამოს სატარებლად.

გრძელი კაბის ტარება საქმიან გარემოში, შრომისა და სწავლის დროს, თანამედროვე ცხოვრების აქტიური ტემპისა და ხასიათის გამო მოუხერხებელია.

დღის მეორე ნახევარში კი, დასვენებისა და გართობის დროს, როდესაც ყველა ქალს სურს ჩვეულებრივზე უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს, გრძელი კაბა მის გარეგნულ ღირსებებს აძლიერებს და ელეგანტურობას მატებს იმ შემთხვევაში, თუ ქალი შესძლებს კაბის მოხდენილ ტარებას და მასში განსხვავებულ თავის დაჭერას.

ლ. ხვედელიძე